გაზეთი გამოდის 1930 წლის 5 ნოემბრიდან

samtrediismacne @ mail.ru

სამტრედიის მაცნე

N27 (9243) | 30 სექტემბერი. 2017 წელი | ფასი 50 თეთრი

სამუშაო შეხვედრა იმერეთის რეგიონისთვის

2

ცხარე დებატები – გადაწყვეტილება მიღებულია

2

შემოვლა დასრულდა, ანდა საქმე...

ტაო-კლარჯეთი – კულტურული საქართველო

6

„ღირებულებებს წარმოშობს და ამკვიდრებს წიგნი“

8

„ნანა მას, მე ავისრულებთ ოცნებას“

5

ებრძოლეთ სუიციდურ ონლაინ თამაშებს

პროფესიულ სასწავლებლებში მიღება იწყება

7

სამუშაო შეხვედრა იმერეთის რეგიონისთვის

თეა ბაბუნაშვილი

იმერეთის ცალკეული მუნიციპალიტეტების გამგებლების სამუშაო შეხვედრას იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულ გივი ჭიჭინაძესთან ერთად ამჯერად თერჯოლამ უმასპინძლა. სამტრედიიდან მას გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი დავით ბახტაძე ესწრებოდა. დღის წესრიგით განხილულ არაერთ საკითხთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლისკენ მიმართულ ღონისძიებებზე მსჯელობა გახლდათ. მოისმინეს სურსათის ეროვნული სააგენტოს რეგიონალური სამმართველოს უფროსის, ფიქრია ჭლიკაძის მოხსენება ამ მავნებელთან მიმართებაში გასატარებელი ღონისძიებების შესახებ. აღნიშნული შეხვედრიდან მეორე დღესვე ზუგდიდში გამართულ სამუშაო ჯგუფის შეხვედრაზე, სადაც სამტრედია გამგებლის მოადგილემ, მამუკა თავაძემ წარადგინა, დეტალურად დასახეს შემდგომი სამუშაო გეგმა.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს რეგიონული სამელიორაციო სამსახურის უფროსის, როლანდ მუშკუდიანის წინაშე დავით ბახტაძემ სამტრედიის მუნიციპალიტეტში სამელიორაციო არხების რეაბილიტაციის საკითხი დააყენა. მან ხაზი გაუსვა, რომ "სამტრედიის მეზობელ მუნიციპალიტეტებში, ვანსა და ხონში, მასშტაბური სამუშაოები ამ კუთხით უკვე დასრულდა. უშუალოდ სამტრედიაში კი სამუშაოების მხოლოდ ერთი ეტაპია ჩატარებული. აუცილებელია სამელიორაციო და სხვა დანიშნულების არხების, აგრეთვე, მცირე მდინარეების გაწმენდარეაბილიტაცია. მოგეხსენებათ, მეზობელი მუნიციპალიტეტებიდან წამოსული ნალექი სამტრედიაში ჩამოედინება და ჩვენ გარკვეული პრობლემები გვექმნება."

საუბარი იმერეთის რეგიონში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პრობლემების მოგვარებას შეეხო. დავით ბახტაძისგან იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულმა და სამხარეო ადმინისტრაციის სხვა წარმომადგენლებმა, სამტრედიის სინამდვილეში ინფრასტრუქტურულ სამუშაოებთან დაკავშირებული ინფორმაციები მოისმინეს. მან ბოლო პერიოდში განხორციელებულ არაერთ ინფრასტრუქტურულ პროექტზე ისაუბრა. მათ შორის იმაზე, რომ თითქმის დასრულებულია გზების ასფალტბეტონით მოპირკეთება, ამჯერად მიმდინარეობს 10 კორპუსის ფასადების რეაბილიტაცია, წყალსაწრეტი არხების რეკონსტრუქცია. გარდა ამისა, მუშავდება პროექტი, რომელიც გზებზე ვიდეო-სამეთვალყურეო კამერების დაყენებას ითვალისწინებს.

ცხარე დებატები _ გადაწყვეტილება მიღებულია

თეა ბაბუნაშვილი

28 სექტემბერს საკრებულომ რიგგარეშე სხდომა გამართა.

7 საკითხი იყო განსახილველი, რომელთა შესახებაც საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა და იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიათა თავმჯდომარეებმა, შალვა არზუმანიანმა და მანანა სირბილაძემ მოახსენეს.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის "სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის სამსახურის" 2017 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 26 დეკემბრის შესაბამის განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, საკითხის განხილვისას, ოპოზიციასა და პოზიციას შორის შელაპარაკება მოხდა.

კერძოდ, ზემოთ აღნიშნული სამსახურის უფროსს ბატონ ელგუჯა კალაძეს ბატონმა მამუკა ბიბილეიშვილმა მიმართა, თავის დროზე თქვენი სამსახური სასაფლაოების კეთილმოწყობისათვის შეიქმნა და რატომღაც სამუშაოები სხვა კუთხით მიმდინარეობსო.

_ სწორედ ეს საკითხი იხილება დღევანდელ საკრებულოზე, ტექნიკის შემენის გარეშე შეუძლებლია სასაფლაოებზე არსებული საუკუნოვანი მცენარეების მოჭრა, გადაბელვა. _ უპასუხა ბატონმა ელგუჯა კალაძემ.

მამუკა ბიბილეიშვილმა ელგუჯა კალაძისადმი თავისი პატივისცემა კიდევ ერთხელ დაადასტურა და აღნიშნა, რომ კითხვის დასმა არ ნიშნავს დაუნახაობასო...

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, ბატონმა კობა ძიძიგურმა, მადლობა გადაუხადა ელგუჯა კალაძეს, მის სამსახურს მიზანმიმართული საქმიანობისათვის.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ნუგზარ ჯამბურიამ ისევ მოუწოდა კოლეგებს სიწყნარისაკენ, რამდენიმე სხდომა დარჩა ამ მოწვევის საკრებულოს ჩასატარებელი და სასურველია, ერთმანეთს არ დავუპირისპირდეთო. _ აღნიშნა თავმჯდომარემ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულომ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება, რომელსაც მხარი მამუკა ბიბილეიშვილმაც დაუჭირა.

განხილულ საკითხთა ირგვლივ საკრებულომ შესაბამისი გადაწყვეტილებები მიიღო.

გამარჯვებულ კომპანიებთან ხელშეკრულების მომზადების პროცესი

ნინო ნანიტაშვილი

სამტრედიის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის თანხის ფარგლებში გამოცხადდა და დასრულდა შემდეგი ტენდერები: ქალაქის ცენტრში სამი ერთეული ახალი მოსაცდელის მშენებლობა. პროექტის ღირებულება 19 000 ლარია. რეაბილიტაცია უკეთდება სოხუმის ქუჩაზე არსებულ მემორიალს, რომლის ღირებულება 18 500 ლარს შეადგენს. რეაბილიტაცია მიმდინარეობს ასევე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ 4 სტადიონზე, იცვლება ხელოვნური საფარი, ტერიტორიას უკეთდება შემოღობვა, სხვა შესაბამისი და აუცილებელი სამუშაოები. დიდი ჯიხაიშის თემში ეწყობა ძმების, იოანე და თემურ ვაშაკიძეების სახელობის სკვერი, სამუშაოები სრულდება კოსტავას ქუჩაზე არსებულ სკვერში. კერძოდ, მიმდინარეობს განათების მოწყობის სამუშაოები, დაიდგმება ნაგვის ურნები, შეიღებება იქ არსებული ბორდიურები.

ადგილობრივი ბიუჯეტის თანხის ფარგლებში გადაიხურება დუნდუას ქუჩაზე ხუთ ნომერში მდებარე მრავალსართულიანი საცხოვრებელი, კორპუსი.

სექტემბრის ბოლოსთვის დასრულდება ე.წ. ქუთაისი-სამტრედიის ხიდზე ბოგირების მოწყობის სამუშაოების ტენდერი. გამარჯვებული სამშენებლო კომპანიის გამოვლენის შემდეგ რეაბილიტირებული იქნება ზემოაღნიშნულ ხიდზე ლითონის მოაჯირები.

შესყიდვების განყოფილების უფროსის ინფორმაციით სექტემბრის ბოლოს დასრულდება სოფელ ჩხენიშში, ქალაქის ტერიტორიაზე ვაჟაფშაველას, ფიროსმანისა და ჯამბულ თავაძის ქუჩების კვეთაზე ახალი არხების მოწყობის სამუშაოების ტენდერი.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობის შესყიდვების განყოფილების უფროსი, ირაკლი სულავა: "2017 წლის სამტრედიის ადგილობრივ ბიუჯეტში გათვალისწინებული თანხები, რომელიც ეხებოდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას, დადგენილი იქნა სწორად, მოსახლეობის მომართვების საფუძველზე, რომლის ძირითადი მიმართულება დასრულებულია. 2017 წლის ბოლომდე მთლიანად ათვისებული იქნება ბიუჯეტში გათვალისწინებული თანხები. შესაბამისად მივიღებთ სამტრედიაში განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებს".

შემოვლა დასრულდა, ახლა საქმე...

ლევან გაბეჩავა

დღითიდღე მშვენდება და ლამაზდება ჩვენი ქალაქი და არამარტო ქალაქი. დიდი ხანია, ამ სიტყვებმა ტრაფარეტულობა დაჰკარგეს და რეალობად იქცა ყოველივე.

თვალს ახარებს, გსიამოვნებს კეთილმოწყობილ, გამწვანებულ ბაღებსა და სკვერებს რომ უმზერ.

მართალია, ჩვენს შორის არიან ის ადამიანები, ამ სილამაზის შემოქმედთა ნაღვაწს რომ არ აფასებენ, თავად აბინძურებენ ქალაქს, ანადგურებენ მცენარეებს, თუმცა, არიან ისეთები, გაცილებით მეტნი, შრომის ფასი რომ იციან, იმ შრომის, რასაც კომუნალური გაერთიანებისა და გამწვანებისა და კეთილმოწყობის სამსახურების მუშაკები ეწევიან.

ამჯერად ჩვენი საუბარი ააიპ გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანების დირექტორთან, ბატონ ელგუჯა კალაძესთან შედგა.

ეს-ესაა კომუნალური გაერთიანების ხელმძღვანელთან ერთად ქალაქის შემოვლა დავასრულეთ და ამიტომ გალოდინეთო, თავაზიანად გვითხრა სამსახურის უფროსმა და კაბინეტში შეგვიძღვა.

_ ჩვენი თანამშრომლები მუნიციპალიტეტის ცალკეულ უბნებში გასხვლითი სამუშაოებითა და ბალახის მოცელვით არიან დაკავებულები.

წერეთლის ქუჩაზე არსებული სასაფლაო გაფართოვდა.

3 ჰექტარი მიწის ნაკვეთი გამოიყო დამატებით სასაფლაოსთვის, ამჟამად ტერიტორიის შემოღობვა, მისასვლელი გზის კეთილმოწყობა მიმდინარეობს. პარალელურ რეჟიმში წარმოებს მუნიციპალიტეტში არსებულ სასაფლაოებზე ხეების გასხვლა-გადაჭრა.

საშემოდგომო ყვავილებით შევავსებთ გაზონებს, სკვერებს.

ძველი სამტრედიის დასახლებაში, კერძოდ, კაკაბაძის ქუჩაზე წარმოებს ჭადრების გადაბელვა.

თბილისის ქუჩის ბოლოს იგეგმება ძველი ცხაურის მოწესრიგება და ა. შ. უახლოეს გეგმებზე გვესაუბრება ბატონი ელგუჯა.

გაერთიანებაში 33 თანამშრომელია, თუმცა, გაზრდილი ფუნქციებისა და მასშტაბების პირობებში თანამშრომელთა ხელფასებისა და რაოდენობის გაზრდაც მისასალმებელი იქნებაო. _ დასძინა დირექტორმა, რომელმაც იმ სიურპრიზის შესახებაც გვითხრა, ახალგაზრდებს რომ უმზადებს სამსახური და რომლის დაანონსებისგანაც ამჯერად შეგნებულად შევიკავებთ თავს.

წარმატებებს ვუსურვებთ გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანების თანამშრომლებს უაღრესად რთული, ქალაქისათვის აუცილებელი სამუშაოების შესრულებაში.

მალე მცენარეების რგვისა და განაშენიანების სეზონი დაიწყება და... ჩვენც ფეხდაფეხ მივყვეთ ამ პროცესებს.

უფასო პოლიტიკური რეკლამა

"ახსად გავიბივარ, ახსად გავქრები", ანუ წინასაარჩევნო შეხვედრა კანდიდატებთან

ქეთევან ჭელიძე

"თქვენთან ჩემი სადეპუტატო საქმიანობის შესახებ ანგარიშის ჩასაბარებლად არ მოვსულვარ. როგორც დავპირდით, ამას შემდეგ გავაკეთებ, ამჯერად მინდა, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერობის კანდიდატი ვალერიანე ფოცხვერია და მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ლაშა რუსია წარვადგინო". _ მიმართა ტაბიძის ქუჩაზე შეკრებილ მოსახლეობას პარლამენტარმა გია მიქელაძემ.

№54 სამტრედიის საოლქოს სამოქმედო ტერიტორიაზე შემავალი №1 ერთმანდატიანი მაჟორიტარული ოლქის №4 ქვეოლქი 5 საარჩევნო უბანს აერთიანებს და მთელ ნაჩხეტაურს მოიცავს. პარტიამ "ქართული ოცნება _ დემოკრატიული საქართველო" მაჟორიტარ კანდიდატად აქ ლაშა რუსია დაასახელა.

ბატონმა გიამ მოსახლეობასთან შეხვედრის დროს მისი დეპუტატად არჩევის შემდგომი პერიოდი მიმოიხილა. ძალიან სერიოზული შედეგები გვაქვსო, თქვა. პირობა დადო, რომ ვალერიანე ფოცხვერიასთან და "ქართულ ოცნებასთან" ერთად მომავალში კიდევ მეტს გააკეთებს.

დაპირება ხალხს ლაშა რუსიამაც აღუთქვა: "არსად გავრბივარ, არსად გავქრები, წინა არჩევნებზე მე ამ ზონის უფროსი ვიყავი და მეტ-ნაკლებად ვიცნობ აქაურ პრობლემებს. ამჯერად შანსი მეძლევა, საკრებულოში გავიტანო აქაური პრობლემები და ისინი იქიდან მოვაგვარო".

როგორც "სამტრედიის მაცნეს" ტაბიძის ქუჩის მცხოვრებმა ვალერი გრიგოლიამ განუმარტა, მათთვის მნიშვნელოვანია ქუჩის მოასფალტება, მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფა. ისინი მხოლოდ ეზოებში არსებული ჭებით სარგებლობენ ან სხვა ქუჩიდან ეზიდებიან წყალს.

"მე ვიცნობ ბატონ ვალერიანე ფოცხვერიას, პატიოსანი, შრომისმოყვარე, ერთგული ადამიანია და მჯერა, მის მიერ წარდგენილი ლაშა რუსია იმედს გაგვიმართლებს". _ ასკვნის ვალერი გრიგოლია.

ინფრასტრუქტურულ პროექტებზე მიიქცია მოსახლეობის ყურადღება ბატონმა გია მიქელაძემ. დაჰპირდა შეკრებილებს, რომ სამტრედიაში ბევრგან დაიგო გზა და ამ ქუჩაზეც მალე დააგებდნენ ასფალტბეტონის საფარს. სასმელი წყლის შემოყვანასთან დაკავშირებით შესაბამის სამსახურთან შუამდგომლობა და საქმეში გარკვევა აღუთქვა მათ. სამომავლო ძვირადღირებულ პროექტზეც ისაუბრა, რომელიც სამტრედიის მუნიციპალიტეტში სასმელი წყლისა და საკანალიზაციო სისტემების, ასევე, გამწმენდი ნაგებობების მოწესრიგებას ითვალისწინებს. აღნიშნა, რომ მას საკითხი სამთავრობო დონეზე უკვე გადაწყვეტილი აქვს. პროექტის სრულად განხორციელებას 3 წელი დასჭირდება.

"სამი წელია, რაც გამგებელი ვარ და მეორედ ამ ამპლუაში ყოფნა ძალიან რთულია". _ განაცხადა მუნიციპალიტეტის მერობის კანდიდატმა "ქართული ოცნება _ დემოკრატიული საქართველოდან". იმერეთის რეგიონში 12 გამგებელი იყო და მე გამომიცხადეს ნდობა, კენჭი ისევ მეყარა. ეს, პირველ რიგში, ბატონი გიას დამსახურებაა, კახი კალაძისა და ქვეყნის ხელისუფლების. რომ გია მიქელაძე არ იდგეს ჩვენს გვერდით, ალბათ, არც მეფიქრა ამ წინადადებაზე, ძალიან დიდი ზურგი მაქვს მისი სახით. მხარდაჭერა მაქვს კახი კალაძის, რაც გვაძლევს მეტის გაკეთების შესაძლებლობას".

ვალერიანე ფოცხვერიამ ჯანდაცვის პროგრამის უპირატესობას გაუსვა ხაზი და საბავშვო ბაღების მნიშვნელობაზეც ისაუბრა. შეიძლება, მათი მდგომარეობა დამაკმაყოფილებელი არ იყოს, მაგრამ ოჯახების გადარჩენის წყაროდ იქცაო, თქვა. მან "ქართული ოცნების" ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ სასკოლო სახელმძღვანელოების უფასო დარიგებაზეც გაამახვილა ყურადღება. პენსიები რომ ვერ გაზარდეს მიმდინარე წელს და ქვეყანაში არსებული უმუშევრობა "წელში ტეხავს ხალხს", არც ეს დაუფარავს.

ბოლო ერთი წელია, ინფრასტრუქტურული პროექტები აქტიურად რომ ხორციელდება სამტრედიაში, გია მიქელაძის პარლამენტარად არჩევას დაუკავშირა. "გზა ბევრგან დაიგო, საერთო საცხოვრებელი კორპუსები რემონტდება და ა. შ. ეს კი დასაწყისია". _ აღნიშნა მერობის კანდიდატმა.

იმ დღეს ამომრჩეველი მადლიერებას გამოხატავდა გაკეთებული საქმეების გამო და შენიშვნებსაც გამოთქვამდა. საპასუხოდ უკეთესი ხვალის დაპირებებს იღებდა.

სანავარდოს უბანშიც ელოდნენ პარლამენტარს, ვალერიანე ფოცხვერიასა და ლაშა რუსიას მხარდამჭერებთან ერთად. ღამის ბინდბუნდში სინათლით სავსე დაპირებებმა იქაც გაიჟღერა. პარლამენტარი კარგ სიტყვას მათ მიმართ არც მედიას თან იშურებდა: "ვალერიანე ფოცხვერია თავისი საქმიანობით, წესიერებით მოსახლეობაში ნდობით სარგებლობს. "ქართულმა ოცნებამ" და, რა თქმა უნდა, მეც, მხარი დავუჭირეთ მის კანდიდატობას მუნიციპალიტეტის მერის პოსტზე, მაგრამ ამომრჩეველმა თვითონ უნდა გადაწყვიტოს თავისი ბედი, მისი ნებაა, ვის ენდოს. რაც შეეხება ლაშა რუსიას, ძალიან კარგი ახალგაზრდაა, საქმიანი, მოტივირებული, თავისი ქვეყნის პატრიოტი. დავპირდი მას, როცა მაჟორიტარობის კანდიდატად წარადგენდნენ, მე აქ ჩამოვიდოდი და მას მხარს დავუჭერდი".

უფასო პოლიტიკური რეკლამა

"შენების მოძრაობამ" საარჩევნო გუნდი წარადგინა

ნათია ნაცვლიშვილი

"შენების მოძრაობის" დამფუძნებელი და თავმჯდომარე, დავით უსუფაშვილი სამტრედიაში ამ ორგანიზაციის საარჩევნო გუნდის წარდგენის ცერემონიას დაესწრო. შეხვედრის დაწყებამდე "სამტრედიის მაცნემ" მას კომენტარი სთხოვა.

დავით უსუფაშვილი: " დღეს სამტრედიაში "შენების მოძრაობა" წარადგენს საარჩევნო გუნდს, სამტრედიაშიც იწყება "შენების" შენება და ჩვენ ერთად ავაშენებთ ქვეყანას. დროა, დასრულდეს ნგრევა.

_ ხალხი სვამს რიტორიკულ კითხვას, რატომ ვერ ააშენეთ აქამდე?

_ რიტორიკული კი არა, ეს არის სწორი შეკითხვა, ამდენი ხანია, რაც ვიწვალეთ, თუ აქედან რაიმე ვისწავლეთ მოქალაქეებმაც და პოლიტიკოსებმაც, ხელი კი არ უნდა ჩავიქნიოთ, მოდი, მოვუყაროთ თავი ყველაფერს, ბევრი რამე ვცადეთ და არ გამოგვივიდაო კი არა, კიდევ ვცადოთ, უკეთ მომზადებულებმა, იმ დიდ გაკვეთილგავლილებმა. იმიტომ, რომ სახელმწიფოს შენება გაცილებით რთული საქმეა, ვიდრე თავიდან გვეგონა ყველას, სახელმწიფოს შენებას მეტი შრომა და ოფლი სჭირდება. ჩვენ მეტი სისხლი დავღვარეთ, ვიდრე ოფლი, სახელმწიფო შენდება ოფლით. ეს პროცესი არ დასრულდება და წარმატებით გაგრძელდება." დავით უსუფაშვილმა შეკრებილთ მიმართა: " ქვეყანას სჭირდება პატიოსნება, პროფესიონალიზმი და სახელმწიფოს შენებისთვის მცოდნე ადამიანების მოსვლა ხელისუფლებაში. ამ შენების მოძრაობაში ვერთიანდებით ხალხი, ვისაც გვაქვს გამოცდილება, მაგრამ ეს გამოცდილება უნდა გადავცეთ ახალ თაობას. თავისუფალი საქართველო 30 წლის გახდება ძალიან მალე და უკვე დროა, ახალმა თაობამ მეტი პასუხისმგებლობა აიღოს. ყველა, ვინც აქ ვდგავართ თმაშევერცხლილები, ვინც ვაშენეთ ეს ქვეყანა, მივიჩნევთ, რომ არის საჭირო სერიოზული ცვლილებები. ამიტომ, მეც კახა შარტავასაც და სხვებსაც ძალიან გვიხარია, ჩვენ წავედით პოლიტიკიდან, რომელიც დაფუძნებულია მტრობაზე, დაპირისპირებაზე, ზედაპირულობაზე, არაკვალიფიციურობაზე და ამით ის მანკიერი წარსული უკან უნდა დავიტოვოთ. ამაყი ვარ მართლაც, რომ "შენების მოძრაობის" სახელით სამტრედიელებს მერობის კანდიდატად იმედა გოგავა შემოგთავაზოთ, იმედას ათი წელია ვიცნობ, ის არის სამაგალითოდ აქტიური ადამიანი, ფუტკარივით მშრომელი კაცი, რომელიც თავის თავზე არ საუბრობს, ის წლების განმავლობაში იდგა იქ, სადაც უნდა მდგარიყო, მას სამტრედიის საკრებულოში არც ერთ საკითხზე არ უზარმაცია, თავისი პოზიცია გამოუთქვამს, ჰქონია ინიციატივები. ასეთი ხალხია საჭირო, რომ თვითმმართველობა იყოს ჭეშმარიტი თვითმმართველი ერთეული, ადგილობრივი ხელისუფლება ემსახურებოდეს ხალხს და არა ცენტრალურ ხელისუფლებას ან თავის პარტიას. პარტიად მომავალი წლის გაზაფხულზე ჩამოვყალიბდებით, ვიქნებით ცენტრისტული პარტია, უკიდურესობებსა და რადიკალურ პოზიციებზე დგომამ დაასუსტა ჩვენი ქვეყანა."

იმედა გოგავა: "მოგესალმებით სამტრედიელებო, ჩემს ცხოვრებაში ეს არის ძალიან ამაღელვებელი წამები, ყველას გვიყვარს ეს ქალაქი და გვსურს ვცხოვრობდეთ გაცილებით ლამაზ, სუფთა, მოწესრიგებულ და უსაფრთხო ქალაქში. გვინდა აღმშენებლობა, დავიღალეთ ნგრევისა და არაკომპეტენტურობისაგან, ვართ ის გუნდი, რომელმაც იცის, როგორ უნდა განვითარდეს ქალაქი, მოწესრიგდეს ინფრასტრუქტურა, შეიქმნას სამუშაო ადგილები, სამტრედიას დღეს მასშტაბური რეფორმები სჭირდება, მას არ აქვს ფუნქცია, საფუძველი, რაც იყო ქალაქის მშენებლობისა _ რკინიგზა წაართვეს, სამტრედია არის ჩიხი. შევეცდებით, არათუ ძველი ფუნქცია დავუბრუნოთ, არამედ, ინოვაციური მეთოდებით მართვაა აუცილებელი, თვითმმართველობა უნდა იყოს რეალური. ჩვენ, ვინც ერთად შევიკრიბეთ, საქმეს სხვადასხვა გუნდში ვაკეთებდით და ახლა ერთად ვართ, რადგან უკეთეს მომავალზე ზრუნვას ალტერნატივა არ აქვს."

მერობის კანდიდატმა შეკრებილთ დეპუტატობის 13 კანდიდატი წარუდგინა. ქალაქის მაჟორიტარად და საკრებულოს თავმჯდომარეობის კანდიდატად დიმიტრი სულაქველიძე იბრძოლებს, ქალაქის მაჟორიტარებად ასევე დასახელდნენ _ სოფო კეშელავა, იმედა თევზაძე, რობერტ შალამბერიძე. დაბა კულაშში გამარჯვებისათვის მამუკა მინაშვილი იბრძოლებს. მაღალმთიან სოფელ გორმაღალში _ ვლადიმერ ლორია, ღანირის თემში _ ემზარ პრაკოფი ფოცხვერია, გაღმა ზონაში, გომში გუნდმა არჩევანი მამია ამაღლობელზე გაკეთა, იანეთში ლევან ფესვიანიძეზე. გოჩა ჯიხვაძე _ ტოლები. ბაშში _ ქეთი ჭოლაძე, გუნდის ყველაზე უხუცესი წევრი ზურაბ ფაცულაია, ყველაზე ახალგაზრდა ნაბაკევის თემში_ ჯონი ბზიკაძე იქნება.

"ეროვნული ფორუმის" დამფუძნებელი და ლიდერი, კახა შარტავა მიესალმა შეკრებილთ, წარმატებები უსურვა მათ და აღნიშნა: " შენების მოძრაობა უნდა აშენდეს სწორად, რომ მერე უფლება ქონდეს, სახელმწიფოს შენებაზე ილაპარაკოს."

უფასო პოლიტიკური რეკლამა

უპარტიო ილია ქარჩილაძე ამომრჩეველს ხვდება

ნინო ნანიტაშვილი

21 სექტემბერს 54-ე სამტრედიის საოლქო-საარჩევნო კომისიის სამდივნოში ილია ქარჩილაძე დილის საათებში მივიდა და მარიკა ბოკელავაძეს "რესპუბლიკური პარტიის" პარტიული სია ჩააბარა.

21 სექტემბერი საოლქო-საარჩევნო კომისიებში პარტიების მიერ საარჩევნო სიების და შესაბამისი დოკუმენტაციის ჩაბარების ბოლო ვადა იყო.

სამტრედიაში "რესპუბლიკური პარტიის" სიით 21 ოქტომბრის არჩევნებზე 20 დეპუტატობის კანდიდატია წარმოდგენილი:

სიის პირველი ნომერი უპარტიო ილია ქარჩილაძე, მეორე _ ჯეირან კეკუა, მესამე _ ქრისტინა ჯულაყიძე, მეოთხე _ გრიგოლ რუსია, მეხუთე _ კონსტანტინე ნიკოლეიშვილი.

ილია ქარჩილაძე ქალაქის ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქის დეპუტატობის მაჟორიტარი კანდიდატი 21 სექტემბერს საკუთარ ამომრჩეველს სამტრედიაში, ნაჩხეტაურის უბანში ამირან ბახტაძისა და ფარნავაზ მეფის ქუჩების კვეთაზე შეხვდა.

ილია ქარჩილაძე თავად წარუდგა მოსახლეობას და აუხსნა, რატომ აპირებს იგი მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრობას. უპარტიო კანდიდატმა ერთდროულად გააკრიტიკა წინა და ამჟამინდელი ხელისუფლება. კანდიდატის აზრით, ნაჩხეტაურის დასახლებაში თუკი რამ გაკეთდა, ეს არა ხელისუფლების კეთილი ნება, არამედ მოსახლეობის პროტესტის, გამოსვლების და დაჟინებული მოთხოვნების შედეგია.

იმ დღეს შეხვედრაზე მოსული მოსახლეობა ერთმანეთს ასწრებდა საუბარს და ილია ქარჩილაძის მისამართით მადლიერების გამომხატველი არაერთი სიტყვა ითქვა.

ილია ქარჩილაძე გამარჯვების შემთხვევაში ადგილობრივებს პრობლემების მოგვარებასა და 4 წლის შემდეგ ჟურნალისტებთან ერთად მოსვლას და ანგარიშის ჩაბარებას დაპირდა.

საარჩევნო სუბიექტების საყურადღებოდ!

მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ორგანოს _ საკრებულოსა და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის/მერის 2017 წლის 21 ოქტომბრის არჩევნების პერიოდში გაზეთი "სამტრედიის მაცნე" იხელმძღვანელებს საქართველოს ორგანული კანონის "საქართველოს საარჩევნო კოდექსის" 50-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და "საარჩევნო პროცესში მედიის მონაწილეობისა და გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს ეროვნული კომისიის 2012 წლის 15 აგვისტოს №9 დადგენილების შესაბამისად, არჩევნების საბოლოო შედეგების გამოცხადებამდე, საარჩევნო სუბიექტები გაზეთის ყოველ ნომერში ისარგებლებენ ფასიანი და უფასო მომსახურებით.

წინასაარჩევნო აგიტაციისა და წინასაარჩევნო რეკლამისთვის გაზეთში გამოყოფილი ფასიანი და უფასო ფართის სიდიდე შეადგენს 4 გვერდს. თითოეულ სუბიექტს გაზეთის ერთ ნომერში დაეთმობა გამოყოფილი ფართის ერთი მესამედი, რომლის ღირებულება 200 ლარს შეადგენს.

ისევ ქალაქის საზღვრების შესახებ

ლევან გაბეჩავა

რამდენიმე ხნის წინ ერთობ უცნაური სათაურით _ "დამეძინა მელაურში, გავიღვიძე ხიბლარში" იმავე საკითხზე ვწერდით, წლების მანძილზე ბევრს რომ აწუხებდა და, ჯერჯერობით, კვლავ პრობლემად რჩება.

მოგაგონებთ, 1978 წელს ქალაქის ტერიტორია გაიზარდა რიგი სოფლებისა და უბნების ხარჯზე.

რაიონის რუკიდან გაქრა ნაფალაური, ნაჩხეტაური... მელაურის ტერიტორიის ნაწილი ქალაქს მიეკუთვნა, ნაწილი ისევ მელაურს დარჩა და ა. შ.

უხერხული, გაუგებარი ვითარება იქმნებოდა და იქმნება წლების მანძილზე გადაუდებელი დახმარების გამოძახებისას, განსაკუთრებით არჩევნებისას (არა აქვს მნიშვნელობა, რა დონის არჩევნებია, ადგილობრივი, საპარლამენტო თუ საპრეზიდენტო).

საქმე იმაშია, რომ ქუჩის ერთ მხარეს მცხოვრებნი არჩევნებისას ქალაქის შესაბამის საარჩევნო უბანზე არიან მიწერილები, მეორე მხარეზე მცხოვრებნი კი სოფლისაზე.

ამ წერილის ავტორი და მისი მეზობლები, რომლებიც მელაურს ვეკუთვნით, ვცხოვრობთ რესპუბლიკის ქუჩის გაგრძელებაზე, ხმას კულაშის მკურნალის სახელობის საჯარო სკოლაში განთავსებულ საარჩევნო უბანში ვაძლევთ სასურველ კანდიდატს, სასურველ პოლიტიკურ ძალას. ჩვენს წინ, გზის ერთ მხარეს, ცურტაველის ქუჩაზე მცხოვრებნი _ ქალაქში, მეორე მხარეს მცხოვრებნი, ისევ მელაურს მიკუთვნებულნი, არიან ვალდებულნი ისევ კულაშის სკოლაში მივიდნენ კონსტიტუციური მოვალეობის განსახორციელებლად...

დაიბნეოდით, შეიძლება ვერც გაიგეთ საქმის ვითარება, მკითხველო, სწორედ ასეთი დაბნეულობაა ყოველი არჩევნების წინ და არა მარტო არჩევნებისას. აი, სწორედ ამიტომ იდგა ამ ჩახლართული საკითხის მოგვარება წლების მანძილზე დღის წესრიგში, აი, ამიტომ დგას ეს საკითხი ისევ დღის წესრიგში. მსგავსი ვითარებაა ქალაქის სხვა განაპირა უბნებშიც.

ასე რომ...

მართალია, 1978 წლიდან ძალზე დიდი დროა გასული, მაგრამ ბოლოს და ბოლოს, ოდესღაც ხომ უნდა მოწესრიგდეს ყოველივე?

ჩვენის აზრით, ამ საკითხით არჩევნებში (მერობის კანდიდატებად, მაჟორიტარებად) ჩართული ადამიანები უნდა დაინტერესდნენ ყველაზე მეტად და შესაბამისად, არჩევნებში მონაწილე პარტიები.

თავის დროზე დაშვებული (გამიზნული თუ შემთხვევითი) შეცდომა ბოლოს და ბოლოს უნდა გამოსწორდეს!

ეკრძალეთ სოციალურ ონლაინ თამაშებს

ნათია ნაცვლიშვილი

რედაქციაში ასაკოვანი ადამიანი, ჩვენი აქტიური მკითხველი, საქართველოს შსს "სამტრედიის ვეტერანების" თავმჯდომარე, თადარიგის ვიცე-პოლკოვნიკი ავთანდილ კაშია გვეწვია და გულისტკივილი გაგვიზიარა. პრობლემა, რომელმაც ეს ბატონი და არამარტო იგი შეაწუხა, მასშტაბურია და მომავალი თაობის ბედ-იღბალს უკავშირდება. საქართველოში ორმა მოზარდმა დაასრულა სიცოცხლე თვითმკვლელობით გავრცელებული ონლაინთამაშის, "ლურჯი ვეშაპის" გავლენით. ახალგაზრდები ებმებიან სახიფათო თამაშებში, რომლის მონაწილეთ უცხო პირები ინტერნეტით უკავშირდებიან და გარკვეული დავალებების შესრულებას სთხოვენ. საბოლოოდ კი თამაშს მოზარდი თვითმკვლელობამდე მიჰყავს.

ეს სახიფათო ონლაინთამაშები გავრცელებულია ევროპაში, აზიაში, აფრიკაში, სამხრეთ ამერიკასა და მეზობელ რუსეთში. ფსიქოთერაპევტები აანალიზებენ ვითარებას, ასკვნიან, რომ მოზარდის ფსიქიკა გარდატეხის ასაკში იოლად დასამორჩილებელია და მშობლებს ურჩევენ, აქტიურად გააკონტროლონ, თუ რას უყურებენ ბავშვები ინტერნეტსივრცეში. დაუთმონ ბავშვებს დრო დედებმა და მშვიდად აუხსნან მათ, რომ ეს ბოროტებაა და ინტერნეტთამაშებს უნდა ერიდონ. აღსანიშნავია ისიც, რომ თამაშის მონაწილეებს ახლობლებთან ურთიერთობას და მათთვის რაიმეს გამხელას უშლიან. "ლურჯი ვეშაპის" შემქმნელი სტუდენტ-ფსიქოლოგი ფილიპ ბუდეიკინი უნივერსიტეტიდან გარიცხეს, მან განაცხადა, რომ ამ თამაშის შექმნით მისი მიზანი იყო საზოგადოების გაწმენდა ადამიანებისაგან, ვისაც არ-ანაირი ღირებულება არ გააჩნიათ. ვიდრე მოზარდთა თვითმკვლელობების სავალალო სტატისტიკა კიდევ მეტად დამძიმდება, დროა პრობლემისადმი ყურადღება გავზარდოთ.

"ჩემი შვილიშვილები მთელი დღის განმავლობაში კომპიუტერს უსხედან. მას შემდეგ, რაც მასმედიის საშუალებებით "ლურჯი ვეშაპის" შესახებ გავიგე, აღვშფოთდი. მინდა მივმართო მშობლებს, მეტად გააკონტროლონ შვილები და მეტი დრო დაუთმონ მათ. ღმერთმა დაიცვას ჩვენი მომავალი თაობა." _ აღნიშნა ჩვენთან საუბარში ავთანდილ კაშიამ.

1 ოქტომბერი მოხუცთა საერთაშორისო დღეა!

ნადია ბებია

ლევან გაბეჩავა

გაპარულან წლები, თუმცა, ვერაფერი დაუკლიათ ლამაზი, თბილი მოგონებებისათვის.

კულაშის კ. მურნალის სახელობის საშუალო სკოლის მოსწავლეები ვართ. გაკვეთილები დამთავრდა. შინისაკენ მივდივართ, არცთუ დიდი გზაა სახლამდის, თუმცა, როგორც ყველა მოსწავლეს, არც ჩვენ გვეჩქარება სადმე და ერთ ჭიშკართან ვეება ჭადრების ჩრდილქვეშ ვჩერდებით. გადის ათი წუთი, ოცი, ნახევარი საათი...

ჭიშკარი იღება, კალთააკაპიწებული სათნო ქალბატონი გადმოდის და ჩვენს წინ სახელდახელოდ დადგმული კოკრ-ოჭინა მაგიდა შემოდგომის ხვავით გაივსო. ყურძენი, ბროწეული, კომში, ვაშლი... გეშიებათ, ბებია, მიირთვით, თქვენ გენაცვალეთ, თავს გვეველება ნადია ბებია გვარიც გავიგეთ მოგვიანებით, ჯღამაძე ბრძანებულა ჩვენი ხშირი, დიახ, ხშირი მასპინძელი, რომელიც თვეში ორ-სამჯერ მაინც გვანებივრებდა ხილით, მოხარშული სიმინდით, ტკბილი კვერ-ით.

სამი-ოთხი წელი, თითქოს, ტრადიციად იქცა ყოველივე.

მერე წლები გავიდა, ჩვენც გავიზარდეთ, სკოლა დავამთავრეთ, ჩვენი გზით წავედით...

მერე ისევ გავიდა წლები და...

დიდი, დიდი ხანია, აღარაა ქვეყნად ნადია ბებია, თუმცა, დღემდის დაუვიწყარია სათნო ქალბატონის მხურვალე ლოცვა, მისეული სითბო და ალერსი.

1-ლ ოქტომბერი მოხუცთა საერთაშორისო დღეა, ამ ფაქტის გამო გავიხსენეთ სათნო მოხუცი.

ნათელში იყოს!

მრავალფეროვანი მენიუ და... გულის სითბო

ლევან გაბეჩავა

1 ოქტომბერს მოხუცთა საერთაშორისო დღეა, ააიპ "სახლი თანადგომას" ხელმძღვანელს, ქალბატონ მზევინარ ბოხუას იმ აქტიურ თანამშრომელთა შესახებ ვთხოვეთ მოეთხრო, განსაკუთრებული პასუხისმგებლობით რომ გამოირჩევიან.

ჩვენთან ყველა საოცრად პასუხისმგებლიანები არიან, უყვართ თავიანთი საქმე, თუმცა, ამჯერად ქალბატონ დარეჯან ვეკუაზე შევაჩერებ ყურადღებასო, ქალბატონმა მზევინარმა.

დარეჯან ვეკუა _ დაამთავრა სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი, სპეციალობით ტექნოლოგია. 20 წელი მუშაობდა და ცხოვრობდა რუსეთში, წლების განმავლობაში გახლდათ ფირმის "პოვაროვო 2" გენერალური დირექტორი, ჰყავს შვილი, შვილიშვილი და შვილთაშვილი. ამჟამად ქალბატონი დარეჯანი "სახლი თანადგომას" უფასო სასადილოს უფროსი მზარეულია.

_ ჩვენთან სასადილოში დღეში საშუალოდ 130 ბენეფიციარი სადილობს, არიან მოხუცები, ინვალიდები, სოციალურად დაუცველები, 26 ბენეფიციართან, რომლებსაც სასადილომდე მოსვლა არ შეუძლიათ, ცხელი, ყუათიანი კერძი ბინაზე მიაქვთ სოციალურ მუშაკებს.

მენიუ მრავალფეროვანია, ბენეფიციარებს არაერთხელ აღუნიშნავთ და კმაყოფილება გამოუხატავთ ამის გამო, იმ სითბოსა და სიყვარულისათვის, აქ რომ ხვდებათ. თუმცა, არიან პრეტენზიულებიც, რაც ჩვეულებრივი მოვლენაა. _ გვეუბნება უფროსი მზარეული. _ "სახლი თანადგომას" დირექტორი ქალბატონი მზევინარი ყველა ჩვენს მოთხოვნას შეძლებისდაგვარად ითვალისწინებს.

მოხსნილია ცივი და ცხელი წყლის პრობლემა, გაკეთდა ფანჯრები, შეკეთდა იატაკი. ამდენად, ხმამაღლა შემიძლია ვთქვა, რომ "სახლი თანადგომას" თითოეული თანამშრომელი ბოლომდე ვიხარჯებით, რათა გულის სითბო ვაგრძნობინოთ, ასე თუ ისე, ცხოვრების მძიმე წლები გავულამაზოთ, მარტოობა არ ვაგრძნობინოთ ჩვენთან მოსულებს. _ დასძენს რესპონდენტი.

დაბოლოს, არაა სადავო რომ სათნოების სახლებში, უფასო სასადილოებში ბენეფიციართა მატება ქვეყანაში ჯერ კიდევ შენარჩუნებული მძიმე სოციალური ფონის შედეგია, მაგრამ რაკი სხვა გზა არაა ჯერჯერობით, ამ კატეგორიის ხალხს ისე უნდა გავუფრთხილდეთ, როგორც აქ უფასო სასადილოში უფრთხილდებიან, ეფერებიან...

მშვიდ ხანდაზმულობის წლებს ვუსურვებთ სათნო მოხუცებს, წარმატებებს მათზე მზრუნველ ქალბატონებს.

ტაო-კლარჯეთი – კულტურული საქართველო

ნათია ნაცვლიშვილი

"ვრანტისთვის რომ ეცადა ექვთიმე თაყაიშვილს, მაშინ ქართული კულტურა გაქრებოდა"

საქართველოში მიმდინარე მეცნიერებისა და ინოვაციების საერთაშორისო ფესტივალის ფარგლებში სხვადასხვა დიდ ქალაქებში ეწყობა სამეცნიერო კონფერენციები. ერთ-ერთ კონფერენციასემინარს ჩვენმა ქალაქმა უმასპინძლა, და ეს კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტ კახა შენგელიას დამსახურებაა. ივი ახლახან უნივერსიტეტთა პრეზიდენტების საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტად აირჩიეს. ეს პირველი შემთხვევაა, როცა ასეთი მაღალი თანამდებობა აღმოსავლეთ ევროპის წარმომადგენელმა და ქართველმა დაიკავა. კახა შენგელიას ძალისხმევით საინტერესო კონფერენცია-სემინარი მის მშობლიურ სამტრედიაში გაიმართა.

მეცნიერთა ჯგუფმა, რომლებიც კავკასიის უნივერსიტეტში მოღვაწეობენ, პროფესორ თემურ ხუციშვილის ხელმძღვანელობით განახორციელა ტაო-კლარჯეთში არსებული საქართველოს უნიკალური ძეგლების კვლევა. ამ ჯგუფთან ერთად წარმართა კვლევა საქართველოს კულტურისა და ტურისტული რესურსების კვლევის ცენტრმა. ამ ერთობლივი სამეცნიერო მუშაობის შედეგების პრეზენტაცია ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრში გაიმართა. დარბაზში მუნიციპალიტეტის თითქმის ყველა სკოლის მოსწავლეები იყვნენ წარმოდგენილნი ისტორიის პედაგოგებთან ერთად. შეხვედრას ადგილობრივი ხელისუფლებაც დაესწრო.

აუდიტორიას კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი კახა შენგელია მიესალმა და განაცხადა: "ჩემი დაჟინებული თხოვნით იმართება დღევანდელი კონფერენცია-სემინარი სამტრედიაში, ამაში განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დამეთანხმა. მინდოდა, თქვენც გენახათ ის, ვინც მეცნიერებას ქმნის დღეს საქართველოში, შეხებოდით ძალიან ახლოს ჩვენს ისტორიას, ჩემთვის ძალიან საამაყოა, რომ ამან გამოიწვია დიდი ინტერესი, მადლობა მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახურს, საგანმანათლებლო რესურსცენტრს, ყველა სკოლას, ვინც აქ მობრძანდით, რომ შეიტყოთ, კავკასიის უნივერსიტეტს რა შედეგები აქვს მეცნიერული კვლევების მიმართულებით. ვეცდებით, სამეცნიერო სიახლეებზე თქვენთვის პოპულარული ენით მოგიყვეთ. ტაო_კლარჯეთი აქედან რამდენიმე საათის სავალზეა, ის უძველესი ქართული ისტორიული ტერიტორიაა, სადაც დაიწყო არსებობა ქართულმა სახელმწიფომ, ის არის ქართული სამეფო დინასტიების მთავარი კერა, ჩვენი ბაგრატიონები წარმოშობით არიან ტაოდან, დღეს იქ სვეტიცხოვლის დონის რამდენიმე ტაძარია, ტაო-კლარჯეთის კვლევა ჩემი ინტერესის სფეროა დიდი ხანია, 1998 წლიდან დავიწყეთ იქ სიარული მეცნიერული ინტერესით მე და ბატონმა თემურ ხუციშვილმა, 2003 წლამდე 122-ჯერ ვიმყოფებოდი იქ, მერე დავიცავი დისერტაცია ტაო-კლარჯეთზე და გამოვეცი რამდენიმე წიგნი, რომელთაც შეხვედრის შემდეგ სკოლის ბიბლიოთეკებს გადავცემ. ეს ჩვენთვის საფიცარი ადგილია, ქვეყნის გაერთიანებაც იქიდან დაიწყო. მე-19 საუკუნიდან მოყოლებული დიდმა ექვთიმემ შეისწავლა ტაო-კლარჯეთი. ჩვენ მივმართეთ რუსთაველის ფონდს, დიდი გრანტი მოვიგეთ და შემდგომი 5 წლიანი მეცნიერული კვლევა ტაო-კლარჯეთის ძეგლებისა ამ გრანტით დაფინანსდა."

"ტაო-კლარჯეთის ახალი მამა, რომელმაც სად რა კენჭი დევს იქ, ისიც კი იცის"_ ასე წარუდგინა დარბაზს კახა შენგელიამ კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი, ოცამდე მეცნიერული გამოკვლევის ავტორი, პროფესიით მათემატიკოსი და ისტორიის დიდი აპოლოგეტი, თემურ ხუციშვილი. ამ მკვლევარის თქმით, მათ მიერ განხორციელებული კვლევების შედეგად, ასეული კულტურის ძეგლი იქნა აღმოჩენილი.

თემურ ხუციშვილი: " 20-ზე მეტი ახალი წარწერა ვიპოვეთ, დღეს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ამ რეგიონის კვლევას კავკასიის უნივერსიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ტურისტული რესურსების კვლევის ცენტრის ეგიდით. მალე გამოვა კატალოგი, სადაც ნაჩვენები იქნება, რომ 1200-ზე მეტი ქართული კულტურის ძეგლია დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე, რომელსაც ტაოლარჯეთს ვუწოდებთ, ძალიან წარმატებული სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა მიმდინარეობს კავკასიის უნივერსიტეტში, წარმოვადგინეთ ჩვენი ექსპედიციის შედეგად მოპოვებული ფოტო მასალაა, მათ შორისაა მეათე საუკუნის წარწერები, აქაა ბევრი ახალი ეკლესია-მონასტერი, დაზუსტდა ტოპონიმიკა, აღმოჩენილია რამდენიმე ასეული კულტურის ძეგლი, რაც დღემდე არ იყო შესული ჩვენს სამეცნიერო მიმოქცევაში. დაახლოებით 3000 წლის წინ პირველი სახელმწიფოებრივი გაერთიანება _ დიაოხი სწორედ ამ ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა. მეგალითური ნაგებობები, რომლებიც ტაო-კლარჯეთშია აღმოჩენილი, სწორედ ამ დიაოხური კულტურის ნაშთებია. რამდენიმე სამეცნიერო ექსპედიცია მოაწყო ტაო-კლარჯეთში ექვთიმე თაყაიშვილმა. ბავშვებო, თუ კარგი ისტორიის მასწავლებლები გყავთ, გეცოდინებათ, რომ ექვთიმემ პარიზში 20 წელი დაიცვა ქართული მუზეუმებიდან გატანილი განძი, თუ ძალიან კარგი მასწავლებელი გყავთ, ისიც გეცოდინებათ, რომ არანაკლები წვლილი მას ტაოკლარჯეთის კვლევაში მიუძღვის, მან 3 ექსპედიცია მოაწყო იქ. ამ ბუმბერაზს 50- იან წლებში უნივერსიტეტის პროფესორობა ჩამოართვეს და სული შიმშილით აღმოხდა. მინდა მოგიწოდოთ ახალგაზრდებო, მეცნიერებას მეტი ყურადღება მიაპყროთ. _ თუ ფული ვერ იშოვე, კაცად არ ვარგიხარ, _ ამ შეგონებით ზრდიან დღეს ქართველებს, მეც მყავს შვილები და შვილიშვილები, მაგრამ მთელი დედამიწა რომ დამიპირისპირდეს, გეტყვით, ეს მცდარი პოზიციაა, ასე რომ ეფიქრა ექვთიმე თაყაიშვილს, მაშინ ქართული კულტურა გაქრებოდა, სანამ გრანტი არ მექნება, წარსულს არ ვიკვლევო, რომ ეფიქრა, რა იქნებოდა? არსებობს მატერიალურზე გაცილებით მაღალი ღირებულებები. თუ გაქრა კულტურა, მეცნიერება, მაშინ ყოფაცხოვრებას რა აზრი აქვს? მე-20 საუკუნის უდიდეს პოლიტიკოსს, ჩერჩილს გაგახსენებთ. გერმანია რომ ბომბავდა ინგლისს, ინგლისელებმა თქვეს, ჩვენ ვერ გადავრჩებით, თუ სამხედრო დაფინანსება არ გავზარდეთ, თანხა კულტურის სამინისტროს უნდა ჩამოვაჭრათო. ჩერჩილმა თქვა: თუ კულტურა აღარ გვექნება, გამარჯვება რად გვინდაო?..

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ შესაძლებლობა მოგვეცა, წავსულიყავით თურქეთში, 16-17 საათი კახა საჭესთან იჯდა და ისეთ გზებზე ვიარეთ, სადაც გავლა, ფაქტობრივად, შეუძლებელი იყო, პრობლემებს ხან ჟანდარმერიის, ხან ადგილობრივი ფანატიკოსი მუსლიმების მხრიდან ვაწყდებოდით, მაგრამ უდიდესი დახმარება და სტუმართმოყვარეობა გაგვიწიეს თურქმა მასპინძლებმა."

ახალგაზრდა მკვლევარმა ლევან წიქარიშვილმა მიმოიხილა ტაო-კლარჯეთში არსებული ძეგლები, "კლარჯეთის ათორმეტი უდაბნო", როგორც მას მეცნიერებმა უწოდეს. გამომსვლელმა საინტერესო ფოტოკოლაჟი წარმოადგინა, სათითაოდ მოგვითხრო ტაძრებზე. მისი თქმით, ხანძთის გუმბათის თავი ჩამოიქცა, მაგრამ გუმბათიანი ხანძთის კარგი ფოტო კახა შენგელიას ფოტოარქივმა შემოინახა. მეჩეთებად გადააქციეს რამდენიმე ტაძარი, რითაც, ფაქტობრივად, გადარჩნენ ეს ძეგლები, დღემდე მეჩეთი ფუნქციონირებს ხახულის ტაძარში. 38 მეტრი სიმაღლისაა ბანას კათედრალი, მწიგნობრობის მთავარი ცენტრი იყო შატბერდის მონასტერში, აშოტ კურაპალატის სატახტო ქალაქი იყო არტანუჯში, იშხანის გუმბათის ყელში ულამაზესი მხატვრობაა, ამ ტაძარს უკვე ჩაუტარდა რესტავრაცია, ამჟამად მიმდინარეობს პარხალის სარესტავრაციო სამუშაოები. ტბეთის კათედრალი ააფეთქეს და მისი ქვები მშენებლობისათვის გამოიყენეს. შეხვედრის ბოლოს ნაჩვენები იქნა სამეცნიერო ექსპედიციის ამსახველი ვიდეორგოლი, სადაც ჩანს, თუ როგორ არ ეპუებოდნენ უამინდობას და ათასგვარ დაბრკოლებას ქართველი მეცნიერები და როგორ ჩხრეკდნენ "სულის ბერვით გასაჩხრეკ ნაცრებს" ტაო-კლარჯეთის ისტორიულ მიწაზე. ამ ჯგუფმა ასევე მიაკვლია მიუვალ კლდეზე ხანძთის ციხეს, ხანძთაში მიწისქვეშა დარანებს, ქვაზე ნაკვეთ ლაპიდარულ წარწერებს. ზოგი წარწერა ადგილობრივთა სახლებში, ზოგიც, ბოსელში მოიძებნა. "საინტერესო, დაუვიწყარი ლექცია-სემინარი იყო, ცრემლები მერევა, მოუთმენლად მოვიჩქაროდი და გამიმართლეს მოლოდინი, მადლობა ამ დღის ყველა ორგანიზატორს." _ განუცხადა შეხვედრის ბოლოს "სამტრედიის მაცნეს" ნაბაკევის საჯარო სკოლის ისტორიის პედაგოგმა ნინა წულაიამ.

“ნანა მას, მე აგისრულებთ ოცნებას”

ნათია ნაცვლიშვილი

მისი მიღვაწეობა სამტრედიის მესამე საჯარო სკოლაში 45 წელს ითვლის. ილია ჭავჭავაძის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის დასრულების შემდეგ მესამე საშუალო სკოლაში მოვიდა და დღემდე ამ სკოლის პედაგოგია. აღზარდა თაობები, შეასწავლა მათ სიყვარულის ენა, კაცთმოყვარეობასაც აზიარა, ბობოქარ წლებს გაჰყვა პედაგოგის გათეული დამეები, მოსწავლეებზე ზრუნვაში დამაშვრალი ქალბატონი პოეტის საუკეთესო სტროფის ადრესატია: “მასწავლებელი ზოგჯერ უშვილო, მაგრამ ათასი ბავშვის მშობელი”... 8 წელიწადი სკოლის ორგანიზატორი იყო კლასგარეშე მუშაობის დარგში, ხოლო 16 წელი დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობით დარგში. ამჯერად მეათე, მეთერთმეტე და მეთორმეტე კლასელებს ასწავლის ფრანგულს, როგორც არჩევით ენას ინგლისურთან ერთად.

ახლაც ყოველ დილით ღიმილიანი და ენერგიული ეგებება მოსწავლეებს, მართალია, ფრანგულს საქართველოში გაზაფხული არ უდგას, მაგრამ ამ ენას მასწავლებელი მაინც საქმის დიდი სიყვარულით ასწავლის. ღირსეულ პედაგოგთან შეხვედრისას ყოფილი მოსწავლეები კომპლიმენტებს არ იშურებენ. ყველა მოსწავლე პედაგოგის ამაგს, ალბათ, კაი კაცობით იხდის. მაგრამ უფრო მეტ თავდადებას და სიყვარულს თუ გამოიჩენ, შეიძლება, შენს პედაგოგს ოცნებაც კი აუხდინო. დიახ, კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტმა და უნივერსიტეტთა პრეზიდენტების საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტმა, კახა შენგელიამ დანაპირები შეასრულა და პედაგოგი სიყვარულის ქალაქში, პარიზში ამოგზაურა.

ნანა ფხაკაძე თავის ფეისბუქის გვერდზე წერს: “ფრანგული ენის გაკვეთილი, თემა: “მოგზაურობა პარიზში”, მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს პარიზის ღირსშესანიშნავ ადგილებს, ხედებს და უყვება მათ ისტორიას, იმდენად მიმზიდველი აღმოჩნდა მოგზაურობა, რომ ბავშვების ცნობისმოყვარეობა სულ უფრო მატულობდა: მას, თქვენ ყოფილხართ პარიზში? _ იკითხა ერთმა. _ ჯერ არა. ეგ ჩემი ოცნებაა!.. _ მე აგისრულებთ ნანა მას მაგ ოცნებას, როცა დიდი კაცი გავხდები!!! ჩაილაპარაკა მეორემ და მრავლისმეტყველი, დამარწმუნებელი თვალებით გახედა მასწავლებელს.

გავიდა დრო, მოსწავლე დიდი და წარმატებული კაცი გახდა, საამაყო ყველა სამტრედიელის და თამამად შეიძლება ითქვას, მთელი ქვეყნისათვის. ეს მოსწავლე კახა შენგელიაა, რომელმაც მასწავლებლისთვის მიცემული პირობა არ დაივიწყა, დააფასა პედაგოგი და საოცნებო მოგზაურობა პარიზში რეალობად უქცია!!! ჩემო კახა, უღრმესი მადლობა ასეთი დაფასების, ყურადღებისა და გულისხმიერებისათვის, მეამაყები და მახარებს შენი წარმატებები, დღეგრძელი და ბედნიერი იყავ! ღვთის მადლი არ მოგკლებოდეს შენს ლამაზ ოჯახთან ერთად.”

პროფესიულ სასწავლებლებში მიღება იწყება

თეა ბაბუნაშვილი

დიპლომანიით მოჯადოვებულ საქართველოში პროფესიული განათლების მიღებით დაინტერესება თანამედროვეობის მიღწევადაც შეიძლება ჩაითვალოს. უპირველესად კი ამ მოთხოვნილების ზრდა საბაზრო ეკონომიკამ და კერძო და მცირე ბიზნესის განვითარების თავისებურებებმა გამოიწვია. როგორც განათლების რესურსცენტრის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი ელიზა ცხვირავაშვილი აცხადებს, ბოლო პერიოდში სულ უფრო მატულობს პროფესიული განათლების მიღების მსურველთა რიცხვი. თუმცა, სამტრედიელ აპლიკანტებს აქცენტები ქუთაისში არსებულ პროფესიულ სასწავლებელზე აქვთ აღებული და კერძოდ, მზარეულის სპეციალობის შესწავლაზე. იგი მათ დიდ ჯიხაიშში არსებულ აგრარულ კოლეჯზე არჩევანის გაკეთებისკენ მოუწოდებს, მით უმეტეს, რომ კოლეჯს ფაკულტეტების ჩამონათვალში ძალიან საინტერესო და გამოსადეგი არაერთი ახალი სპეციალობა აქვს. გარდა ამისა, მსურველებს სამტრედიაში რკინიგზის განხრითაც შეუძლიათ კოლეჯის კურსის გავლა, ტექნიკური უნივერსიტეტის ბაზაზე არსებულ სასწავლებელში.

წელიწადში ორჯერ, გაზაფხულსა და შემოდგომაზე მთელი საქართველოს ტერიტორიაზე ზოგადი და არასრული საბაზო განათლების მქონე პირებს შეუძლიათ განაცხადების შეტანა და დარეგისტრირება სასურველი პროგრამის გასავლელად. ამჯერად ეს პროცესი 4 ოქტომბერს დაიწყება და 15 ოქტომბრამდე გასტანს. ელიზა ცხვირავაშვილი აღნიშნავს, რომ აპლიკანტებს დარეგისტრირება შეეძლებათ როგორც ონლაინ, სპეციალურ საიტზე, ისე უშუალოდ პროფესიული სასწავლებლის ადმინისტრაციაში. გარდა ამისა, განათლების ადგილობრივ რესურსცენტრებში.

სპეციალური და შეზღუდული საჭიროების მქონე აპლიკანტებისთვის გამოცდაზე შექმნილი იქნება ყველა საჭირო პირობა. ისინი დასაქმებისას გარკვეული პრივილეგიებით ისარგებლებენ. მათთვის აუცილებელია ჯანმრთელობის მდგომარეობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია წესრიგში ჰქონდეთ.

წელს სიახლეა ფიზიკულტურის კოლეჯი. აქ მოხვედრის მსურველებმა გამოცდებისა და შეფასების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული გამოცდის ჩაბარებამდე შიგა ტური უნდა გაიარონ, რომელიც ფასიანია.

წელს სიახლეა ის, რომ ქარელის მუნიციპალიტეტის დაბა აგარის საჯარო სკოლა მიღებას ორ პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამაზე, ზეინკლისა და დაბალი ძაბვის მექანიკოსის სპეციალობების მისაღებად განახორციელებს. იგი არასრული საბაზო განათლების ბაზაზე ფუნქციონირებს და პროგრამის გავლის პარალელურად საჯარო სკოლის დასრულების ატესტატსაც იძლევა.

კოლეჯებში სწავლა უფასოა იმ ბარიერის გადალახვის პირობებში, რომელსაც განათლების სამინისტრო დაუწესებს აპლიკანტებს. სამტრედიაში შესაბამისი გამოცდა ზოგად უნარებსა და სპეციალობის მიხედვით არჩეულ საგანში სპეციალურად მოვლინებული ჯგუფის მიერ მე-11 საჯარო სკოლაში ჩატარდება. გარდა ამისა, ჩაბარებული საგნის მიხედვით აპლიკანტს რამდენიმე სპეციალობის არჩევა შეუძლია. ელიზა ცხვირავაშვილი აღნიშნავს, რომ “დარეგისტრირებისას ყურადღება უნდა მიაქციონ თავისუფალი ადგილების რაოდენობას. პირველ რიგში ჩაირიცხებიან ტესტირებისას მაღალი შეფასების მქონე აპლიკანტები, ამიტომ დიდი კონკურსის პირობებში, რაც, სხვათა შორის, ხშირია, აპლიკანტებს ჩაბარებული საგნის მიხედვით ძალიან ბევრი პროგრამის მითითება უწევთ.”

განათლების ადგილობრივ რესურსცენტრში აპლიკანტებს დარეგისტრირებისას მხოლოდ პირადობის დამადასტურებელი მოწმობა დასჭირდებათ. გარდა ამისა, უშუალოდ კოლეჯში ზოგადი ან არასრული განათლების ატესტატია საჭირო.

ვისაც ლიტერატურა უყვარს

“ღირებულებებს წარმოშობს და ამკვიდრებს წიგნი”

ნათია ნაცვლიშვილი

ჩვენს ქალაქში, საბედნიეროდ, არიან ადამიანები, რომლებთანაც ქუჩაში შეხვედრისას არ გინდა ოდენ მისალმებით შემოიფარგლო. სიტყვა მოიტანს რაიმეს და საინტერესო დიალოგს იწყებ, იქამდეც შეგიტყუებს ეს საუბარი, ვაჟა-ფშაველას ციტატებსაც ამოაგდებ მეხსიერების კუნჭულებიდან. საუბრის მერე რედაქციაში, ჩვენს ოთახში ვადმოვინაცვლეთ. რუბრიკას ადვოკატი ლალი თადუმაძე სტუმრობს.

_ ქალბატონო ლალი, რას ნიშნავს წიგნი თქვენთვის?

_ ეს არის ჭეშმარიტების აბსოლუტური აპოგეა.

_ გახსოვთ ისეთი დღე, წიგნი რომ არ წაგეკითხათ?

_ რომ გითხრათ, არ მქონიაო, წამკითხველების ირონიას უკვე ვგრძნობ, თუ წიგნს კოდექსსაც ვუწოდებთ, მართლაც ამის გარეშე ფიზიკურად წარმოუდგენელია ჩემი ყოველდღიურობა, ამავე დროს, ვარ სამოქალაქო განათლების პედაგოგი და ჩემი სამუშაო საფუძველდებულია წიგნით. წიგნში შეიძლება მოვიაზროთ ინფორმაციაც, რომელსაც ინტერნეტით ვღებულობთ.

_ მხატვრული ლიტერატურის საკითხავად აღრეულ წლებში უფრო იცლიდით?

_ სულ ვიცლიდი, ოღონდ, დროის ამ ფაზებს სახელებს დავარქმევდი, ჩემს ბავშვობაში (მე მეოცე საუკუნისა ვარ) არ იყო კომპიუტერი და სამყაროს შემეცნება ხდებოდა წიგნით. სამტრედიაში საბავშვო ბიბლიოთეკის წინ ვცხოვრობდი და ლამის იქ, ბიბლიოთეკის ვესტიბიულში გავიზარდე. რამდენიმე აქტიურ მკითხველს გვქონდა წითელი წიგნაკი, ეს იყო მაშინ ჩვენი წარმატების მწვერვალი, რომ წითელი წიგნაკით ვიძებნებოდით. მერე იცით რა არის? ბიბლიოთეკის ნესტის სუნი მიყვარს, თან იქაური იდუმალება, სამკითხველოში ჩუმად რომ უნდა ყოფილიყავი... სიმბოლურია, რომ მაშინ ორადორი ტელეარხი არსებობდა და მხოლოდ წიგნით შემოდიოდა სამყარო ჩვენს ცნობიერებაში. სხვათა შორის, ფრანგული რომანების კითხვის პერიოდი რომ დაგვიდგა, ბალზაკის და მოპასანის წაკითხვას მშობლები გვიშლიდნენ, მე-5, მე-7 კლასელები უცებ შეეწევდით საწერი მაგიდის უჯრას და მშობლებს ვაჩვენებდით, რომ ამ დროს ფიზიკას ან ქიმიას ვმეცადინეობდით, ალბათ, არ უნდა დაეშალათ, დოსტოევსკის ცოტა ნაკლებად წავიკითხავდით იმ ასაკში...

_ არაერთი იურისტისგან მსმენია: გონება დაბინძურებული მაქვს ამდენი კანონების წაკითხვითო. ამის საპირწონედ შეიძლება მივიჩნიოთ მხატვრული ლიტერატურა, თუნდაც პოეზია? ტექნიკური დარგის ლექტორებს ლექსები ხშირად შეუტანიათ სტუდენტების განსატვირთად ლექციებზე... ლექსი, მოთხრობა, ნოველა ყოფილა თუ არა თქვენთვის განტვირთვის საშუალება?

_ აუცილებლად, რადიკალურად განსხვავებულ სფეროში პოულობს ადამიანი დასვენებას, ძალიან მართობს, როცა ვუკრავ. შანიძის მუსიკალური სკოლა დავამთავრე, ვხუმრობ, მეორედ მუსიკალური დავამთავრე ჩემს შვილთან, სალომესთან ერთად, მესამედ, ქეთევანთან ერთად ევგენი მიქელაძის საკრავიანი კოლეჯი.

_ საადვოკატო სიტყვის წარმოთქმისას გაგექცევათ ხოლმე რომელიმე კარგი ციტატისკენ გონება?

_ არათუ გამირბის აზრი, არამედ, აუცილებელი მოთხოვნაცაა, მით უმეტეს ახლა, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი რომ შემოდის. აქ საჭიროა, ადვოკატმა და პროკურორმა, ანუ მხარეებმა 12 ნაფიც მსაჯულს, რომლებიც იურისტები არ არიან (ნაფიცი მსაჯული არ შეიძლება იყოს ფსიქოლოგი, ფილოსოფოსი, სასულიერო პირი, ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენელი) ამ სამართლებრივი აზროვნების არმქონე, ამ კაზუსის არმცოდნე ადამიანებს რამდენიმე წუთში თან უნდა დაუხატო ფაქტობრივი მდგომარეობა და თან უნდა მიიყვანო იმათი აზროვნება იქამდე, რომ ან არის დამნაშავე, ან _ არა. აქ მხატვრული გამონათქვამებია საჭირო და ვერბალური და არავერბალური ჟესტიკულაციებიც, რომ “მოხიბლო,” შენს პოზიციაზე დააყენო. სხვათა შორის, ჩვეულებრივ სასამართლოშიც მოსამართლეზე მოქმედებს, თუ როგორ ჩამოაყალიბებ შენს პოზიციას. არგუმენტი უმთავრესია. მტკიცებით სამართალში უნდა მოიტანო ცნობილი სენტენციები და ცნობილი პასაჟები მხატვრული ნაწარმოებებიდან, რომლებიც უდავოა, საკამათო არ არის.

_ ალბათ, ზედმეტი ლირიზმიაც არ უნდა გადავტვირთოთ...

_ რასაკვირველია, მოსაძებნია ოქროს შუალედი. საჭირო დროს საჭირო მაგალითი უნდა მოიყვანო. ყველა საქმე მკაცრად ინდივიდუალურია, გასაგებია, რომ ქმედება ერთი მუხლის ქვეშ მოაზრებადია, მოსამართლე მსაჯულია, რომელიც უყურებს ორივე მხარეს და მერე შეაფასებს, რომელი უფრო არგუმენტირებულია, რეალურია. სად უფრო მაღალი ხარისხის მტკიცებულებები იყო, აი, ამ გამონათქვამებს იყენებ. შეიძლება, ილიას, ვაჟას ფრაზები ისე გამოიყენო, რომ, მეორე მხარე ჩასაფრებულიც რომ იყოს, ვერ გეტყვის, არა, ბატონოო... სამოქალაქო განათლებას ვასწავლი, რომელიც სამი ნაწილისაგან შედგება: პიროვნება, ხელისუფლების ორგანოები და მდგრადი განვითარება. პირველ ნაწილში არის თემები, და ეს პიროვნება ვაჟას “კარგ ყმად ვინა ვთქვათ ვაჟებოს” ეფუძნება, როცა სხვადასხვა ერში, კულტურაში, ეთნოსში “კაი ყმა” სხვადასხვა ღირებულების მატარებელი იყო. ის იყო სამშობლოს მოყვარე, მტერთან მებრძოლი, სახეზე ნაიარევი. მებრძოლი და არა ის, ვინც “ღამით მაძღარი დაწვების, დილით მშიერი დგებისა,” ეს აზროვნება დღესაც მისაღწევია. ამის ანტიპოდი კი არის ლავრენტი არდაზიანის ისაკიჩ მეჯღანუაშვილი.

ეს კაცობრიობის პრობლემაა, ფული რომ ჯოჯოხეთს ანათებს, არახალია ძველია. სახარებაში ოცდაათი ვერცხლი გავიხსენოთ, როგორც აკაკი იტყვის, კუჭით აზროვნებას რომ მოუშვება ქართველი და დაიწყებს გონებით აზროვნებას, მაშინ გვეშველება. კუჭით აზროვნება არა მარტო ჩვენი ერის, არამედ კაცობრიობის სენად შეიძლება ჩაითვალოს. ვერ დამისახელებთ ღირსეულ მწერალს, რომელიც, როგორც ნოდარ დუმბაძე იტყოდა, ბლინების ჭამაში მოკვდა. ყველა გაჭირვებული იყო, მათ შორის, ილია ჭავჭავაძეც. მას ბურჟუას, მემამულეს, გლეხების მტარვალს ეძახდნენ, მერე მოკლეს. ილია ჭავჭავაძეს რომ ერი მოკლავს! ბერბიჭაშვილი დაიჭირეს იმ ფრაზის გამო, გზა დამითმეთ, მე ილიას მკვლელი ვარ, ეგრე კი არ არისო. ანუ იმის თქმა მინდა, რომ ღირებულებებს წარმოშობს და ამკვიდრებს წიგნი, ავტორი. მწერლები, პოეტები, შემოქმედი ადამიანები არიან წინ მსწრებნი, თაობა, რომლის კვალიც ისტორიას რჩება, საბჭოთა პერიოდის უამრავი მწერლის გვარი არ ვიცით. უბრალო მღებავს ეძახდნენ ნიკალას და მისი საფლავი არ იცის ერმა, თურმე ახალი მიმართულების, პრიმიტივიზმის ფუძემდებელი ყოფილა.

_ პოეზიას რა ადგილი უჭირავს თქვენს ყოველდღიურობაში?

_ შოთა რუსთაველის სენტენციებს ვიყენებ ძალიან ხშირად, უცებ ამოტივტივდება ხოლმე... შოთა თან ძალიან დიდია, მე-12 საუკუნეში კოსმოპოლიტური აზროვნება! ახლაც გვაქვს ამის პრობლემა. მართლა ღმერთკაცია რუსთაველი, მე-12 საუკუნეში ამაღლდა, რელიგიებს ზემოთ დადგა, მთელი კაცობრიობის ტკივილი, სიხარული, მრავლისმომცველი სიყვარული გადმოსცა, თითზე ჩამოსათვლელია ნაწარმოები, სადაც მწერალმა სიყვარულის ყველა მიმართულებას გადაუხადა ხარკი. ესაა სამშობლოს, ქალ-ვაჟის, მეგობრობის, პატრონ ყმობის სიყვარული, რომელიც იმდროინდელი სოციალური სტატუსი იყო და ღმერთის სიყვარული. _ “რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა...” რუსთაველი ძალიან ძლიერია, ძალიან დიდია, მისაბაძია, ჩვენია... არაბი და ინდოელი ტყუილად ხომ არ არიან პერსონაჟები. ეს წელი “ვეფხისტყაოსნის” წლად რომ გამოცხადდა, ძალიან მიხარია, მაგრამ ეს არ უნდა გაგვეგო ისე, ერთ ღონისძიებაზე ფორმაში გამოწყობილი პერსონაჟები გამოიყვანო, “ვეფხისტყაოსანი” არ უნდა გავაუბრალოოთ.

_ მეჯღანუაშვილი ახსენეთ, არ გხვდებიან ქუჩასა თუ თეატრში დღეს მეჯღანუაშვილები?

_ არათუ არ მხვდებიან, უმრავლესობაში არიან.

_ ეთანხმებით მურმან ლებანიძეს იმაში, რომ “ლექსის მწერალი ხშირდება, ლექსი კი არ ჩანს მაინც”...

_ როცა რუსთაველის, ვაჟა-ფშაველას და აკაკი წერეთლის ნაწარმოებებზე ხარ გაზრდილი, ძნელია, ყველაფერი მოიწონო. ლადო ასათიანი ძალიან ტკბილია. ვაჟას პოემებში საერთოდ ზოგადკაცობრიული, ჰუმანისტური აზროვნება ჩანს: “მარჯვენას არ ჭრის მუცალსა..” ანდა “იტირე? მადლი გიქნია, მე რა გამგე ვარ მაგისა!”_ ეუბნება ჯოყოლა ზვიადაურის დამტირებელ აღაზას. როგორც ფიზიკაში ნიუტონი, ქიმიაში მენდელეევი, მუსიკაში ჰაიდნი და მოცარტი, ისე მწერლები ქმნიან კლასიკას და აყალიბებენ ახალ აზროვნებას, საოცრებაა სერვანტესი, ეზოპე, ჰესიოდე, ჰაიდეგერი... ჭაბუა ამირეჯიბის “დათა თუთაშხია” პროზის აპოგეაა საერთოდ.

შეკითხვას დავუბრუნდები: შემიძლია ვთქვა: ქართული ლექსი არ მომკვდარა. ამჟამად ვმუშაობ სცენარზე, თუ რას წერენ სამტრედიელი პოეტები ქალ-ვაჟის სიყვარულზე. ჩემი გადასახედიდან კარგი აღმოჩენები გავაკეთე, ეს ჩემი სუბიექტური აზრია და სულაც არ ნიშნავს, რომ ჭეშმარიტებაა ობიექტიურიც კი, არათუ აბსოლუტური. თანაც შეიცვალა ლექსის რიტმი, რითმა, ვინ როგორ უყურებს სამყაროს... სხვათა შორის, ჩემს მოსწავლეებს მოვაძებნინე შეხების წერტილები ვაჟა-ფშაველასა და ფიროსმანს შორის. შეხედეთ ფიროსმანის ორთაჭალელ ტურფას, მუთაქებივით ფეხები რომ აქვს. ფიროსმანი, ეს ნატიფი, ესთეტი, მთვარის რანაირ შუქჩრდილებზე ხატავს და ამ დროს, აი, ამაშია მხატვრის ფენომენი, პირველი აღქმა და დარტყმა, თუ გნებავთ თვალის ისრებისა მოხვდა იმ მუთაქისნაირ ფეხებს, იმან მოხიბლა, ანუ სხვაგან ქრის მისი გონება...

_ სამოქალაქო განათლების პედაგოგი ბრძანდებით, საჭიროა თუ არა პატრიოტულ თემებთან ამ კომპიუტერს მიჯაჭვული თაობის მიბრუნება, რომ არ ჩაგვთვლიმოს, არ ჩაგვეძინოს, ღირებულებათა გადაფასება იგრძნობა თითქოს...

_ პირიქით მგონია, იმდენად არასწორი მიმართულება აქვთ ჩვენს პედაგოგებს მხოლოდ წარსულისაკენ ხედვის, საქართველოს მასშტაბით უამრავ პედაგოგთან მიხდება ურთიერთობა, გაოცებული ვარ ზოგიერთის აზროვნების დონით. ასწავლის ისტორიის მასწავლებელი, მაგალითად, დავით აღმაშენებელს, ფაქტები იციან, წლები იციან, მაგრამ მასალის ანალიზს, სინთეზს, შეფასებას მოსწავლე ვერ ახდენს. რაც ჩამოვთვალე, ეს არის ბენჟამენ ბლუმის “ტაქსონომია”. ავიღოთ დავით აღმაშენებლის რეფორმები, პირველი საფეხური, რითაც უნდა დაიწყოს მოსწავლემ, ესაა ცოდნა, მეორე ეტაპია გაგება, რათა გაითავისოს, რატომ განხორციელდა ვთქვათ რუის-ურბნისი? ტაბუდადებული იყო რუის-ურბნისის საეკლესიო კრების ნამდვილი მიზეზი: უღირსი მღვდლები! უღირსი რატომ? წვერი არ ქონდათ კარგად მოშვებული თუ ქერტლი ეყარათ ანაფორაზე? არსებობს რუის-ურბნისის კრების ოქმები, თურმე რატომ იყვნენ უღირსნი. ვააზროვნოთ ბავშვები, დავითი სუბიექტურად ხომ არ აზროვნებდა? რატომ ჩამოასახლა 40 000 ყივჩაღი? გავარკვიოთ, რა მოცემულობა იყო მაშინ? მისი თითოეული რეფორმა გავაცნოთ, ყივჩაღებს იმიტომ ჩამოასახლებდა, რომ მისი ფეოდალები არ უჯერებდნენ, ქართველები ღალატობდნენ, აი უკვე ჩაიდება მოზარდის ცნობიერებაში, რომ მეთერთმეტე საუკუნეშიც ღალატობდნენ. ის “აცრილი” იქნება, იმუნიტეტს გამოიმუშავებს უკვე. გადავიდეთ შემდეგ საფეხურზე: გამოიყენოს ეს ცოდნა თავის გამოსვლებში, ორატორულ ხელოვნებაში. მერე მოდის ანალიზი. მაგრამ არა ისე, ავთანდილის ანდერძს 25-ე ყრილობის შუქზე რომ ვაშუქებდით. შემდგომი ეტაპი სინთეზში მოყვანაა. ჩვენი წარსული ურაპატრიოტიზმში არ უნდა გადავზარდოთ, გადასარევია, ბრწყინვალეა იგი, მაგრამ, ვაფიქროთ მოზარდები, რატომ ვერ ვიდავითეთ, დღეს რა პრობლემაა? შენ ადამიანის უფლებებით და ვალდებულებებით შებოჭილი ცივილიზებული მსოფლიო გაგატარებინებს იმავე რეფორმებს, რაც დავითმა გაატარა? უკვე დაპატარავდა მსოფლიო. გლობალიზაციის ეპოქაში სულ სხვა მოცემულობა გვაქვს...

_ თქვენ მიგიჩნევდნენ ზვიად გამსახურდიას იდეების მხარდამჭერად და გულშემატკივრად, როგორ შეაფასებთ გამსახურდიას არა როგორც პოლიტიკურ მოღვაწეს, რომელსაც უწუნებდნენ ფრაზას, “ჩვენ ტყვიებს გვესვრიან, მაგრამ ყავავილები ვესროლოთო,” არამედ, როგორც შემოქმედს, პოეტს?

_ როდესაც კონსტანტინე გამსახურდიას ჩრდილში ხარ, ძნელია, განსაკუთრებული ხელწერით დააჩნდე არამარტო ერს, კაცობრიობას. ზვიად გამსახურდია ძალიან დიდი მუხის ჩრდილში იდგა, კონსტანტინე გამსახურდიაზე დიდი პროზაიკოსი საქართველოს არ ჰყოლია, თუ არ ჩავთვლით ჭაბუა ამირეჯიბის მხოლოდ “დათა თუთაშხიას”, ზვიადს ვერ მივიჩნევ ისეთ თვითნაბად პოეტად, როგორც ვაჟა ან აკაკი იყვნენ. ეს ჩემი შეხედულებაა, ხაზს ვუსვამ, და არც ფილოლოგი ვარ, არც სხვებზე ჭკვიანი. მისი პოეზია უფრო შემეცნებითია, ფილოსოფიურია, ზვიადი უფრო მოაზროვნეა, ვიდრე პოეტი. რაც შეეხება პრეზიდენტ გამსახურდიას, ვფიქრობ, დავარცხნილ-გალამაზებული საქართველოს პრეზიდენტი უფრო იქნებოდა, ვიდრე გარდამავალი ქვეყნისა. ფილოლოგი ადამიანი უფრო ესთეტია, ჰუმანურია, თან როცა ცხოვრობ ქვეყანაში, სადაც, როგორც კონსტანტინე ამბობს, “ამდენი მოღალატე შინა გყავს”, შენი მეგობარიც კი მტერია, “ვარდები ვესროლოთ” _ ეს არ გამოვიდა. ამ ვარდების სროლით მეტი ადამიანი დაიხოცა, ვიდრე იმ რამდენიმე ათეული ადამიანის განადგურება იყო, რომლებიც რუსული სქემით მუშაობდნენ, პრეზიდენტს კანონისმიერი პოზიცია უნდა დაეკავებინა. მებრძოლე სიყვარულით, სიკეთით და კი, ბატონო, გაიმარჯვე, მაგრამ სახელმწიფოს პრეზიდენტს ამხობს იმის გამო, რომ პური არ გაგიძვირა, საქართველოს კონსტიტუცია თავზე არ დაგახია? გამოვიდა იმპერიიდან, ახლად დაბადებულია, ჩვილია სახელმწიფო, ფერი სჭირდება პოლიტიკურ რუკაზე, და შენ თავში ურტყამ?

პირბადის ქვეშ

ჩარჩო, გინდა თუ არა, უნდა მოირგოს გათხოვილმა ქალმა

როცა ნაყლობი გეპარება და მიდი მოგეთხოვება

თეა ბაბუნაშვილი

სტუმარს რომ ვარჩევდი მოსაწვევად, მთავარმა რედაქტორმა ახალგაზრდა ქალბატონის იდეა შემომთავაზა. ჰოდა, გადაწყვეტილება მალევე მივიღეთ, სასიამოვნო ახალგაზრდა დედაზე შევაჩერეთ არჩევანი. აქამდე პატივსაცემი ქალბატონებით ვინტერესდებოდით, ვინც გარკვეულ სახეს ქმნის ან ქმნიდა რაიონის ცხოვრებაში. ამჯერად, ჩვენი სტუმარი არა შრომაში ნაგროვები წლებისა და გამოცდილების, ან იმის გამო შევარჩიეთ, რომ სამტრედიისთვის პატივსაცემი ბებუას შვილიშვილია, არამედ იმიტომ, რომ 28 წლის ასაკში სამი შვილის დედა გახლავთ, ამასთანავე, კარგი შვილი და რძალია. თავისი სიტყვა კი, როგორც ეს მის ოჯახს ტრადიციად მოსდევს, აწი უნდა თქვას საზოგადოებრივ საქმიანობაში. თუმცა არც უამისობაა, ვერავინ იტყვის, დიდი ტრადიციების მქონე დომენტი შანიძის სახელოვნებო სკოლის ახალგაზრდა პედაგოგი ლიკა მელქაძე, შრომისმოყვარეობითა და საქმისადმი პასუხისმგებლობით ამ სკოლის გამოცდილ პედაგოგებს ფეხს ვერ უწყობსო. ამავე სკოლის დირექტორი დედის, ირმა შანიძის ქალიშვილი ამ უპირატესობით არ სარგებლობს, რადგან თავად დირექტორი დედაშვილობის გამო მას

არაფერს პატიობს.

"ირმას კარგი შვილი ჰყავს" – ეს გახლავთ მისი მოკლე დახასიათება იმ ადამიანისგან, რომლის თვალწინაც გაიზარდა ჩვენი რესპონდენტი. თამამი და ამბიციური თანამედროვე ახალგაზრდებისგან განსხვავებით, უპირველესად, მისი თავმდაბლობაა სასიამოვნო, ისეთი პატივსაცემი ქალბატონების შემდეგ ჩემზე რატომ შეაჩერეთ არჩევანი. ინტერლიუქტს კი ველოდი ოთარ შანიძის შვილიშვილისგან და იმედი არც გამცრუებია. ერთი სიტყვით, ლიკა მელქაძე, სამი შვილის დედა და ლევან ნიკურაძის მეუღლე დღეს პირბადის გარეშე გვესაუბრება. მისი სიტყვებიდან ნათელია, რომ არა მხოლოდ ოჯახისა და მატერიალური შესაძლებლობების, არამედ, კარგი აღზრდის, თავმდაბლობის, სიყვარულისა და ადამიანების პატივისცემის გამო შეიძლება ღირსეული ადგილის დამკვიდრება ოჯახსა და საზოგადოებაში.

_ 29 წლისა უკვე სამი შვილის დედა ხარ...

_ დიახ, დედა პირველად 18 წლისა გავხდი.

_ სამი შვილი შენი გადაწყვეტილება იყო თუ ...

_ ჩემი და მეუღლის. თავად დედისერთა ვარ და ვიცი, რას ნიშნავს უდედმამიშვილობა. მართალია, ძალიან კარგი დეიდაშვილები მყვანან, ძალიან მიყვარს ყველა მათგანი და ისინიც დედმამიშვილობას მიწევენ, მაგრამ შენი სისხლი და ხორცი რომ გეგულება გვერდით, სხვანაირი განცდაა ალბათ. მე ეს არ განმიცდია და ძალიან მიხარია, რომ დედმამიშვილის სიცარიელე ჩემს შვილებს არ ექნებათ.

_ ძალიან პატარა ხომ არ იყავი ოჯახი რომ შექმენი?

_ 17 წლისა ვიყავი. ამ გადმოსახედიდან, პატარა გახლდით, მაშინ კი როცა გავთხოვდი, ვერ ვითავისებდი, რა ხდებოდა.

_ თქვენს სიყვარულს თავისი ისტორიაც ექნება...

_ ... სულ თვენახევრიანი. მე და ჩემმა მომავალმა მულმა რუსომ, ბავშვი მოვნათლეთ ერთად. იმ ნათლობაზე გავიცანი ლევანი. თვე-ნახევარში დავქორწინდით. არ მინდა, სიტყვა გამიმართლა ვიხმარო, არ არ ნიშნავს, რისი გადმოცემაც მინდა, მაგრამ ამჯერად ვერც სხვას ვპოულობ. თუ ოდესმე ვინმეს გაუმართლა, ალბათ, მე ამ ქორწინებით. ამას ხაზს სწორედ თვენახევრიანი ნაცნობობის გამო ვუსვამ. საკმაოდ მოკლე დროში დავუკავშირეთ ერთმანეთს ცხოვრება. მაშინ, რა თქმა უნდა, არ მიფიქრია იმ დიდ პასუხისმგებლობაზე, დაქორწინებას რომ მოსდევს, მით უმეტეს, ისეთ ტრადიციულ ოჯახში შესვლას, როგორიც ჩემი მეუღლის ოჯახია და იმ ტრადიციების მქონე ოჯახიდან გამოსვლას, როგორიც ჩემი ოჯახი გახლავთ. თუმცა, ორივე მხარე ხელს მიწყობს ვისწავლო, როგორ გავაგრძელო ეს ტრადიციები ისევე ღირსეულად, ჩემამდე რომ მოვიდა.

_ რატომ გავაგრძელო და არა გავაგრძელოთ?

_ იმიტომ, რომ მე გახლდით პატარა ოჯახის შესაქმნელად. ჩემი მეუღლე 24 წლისა იყო. ვერ ვიტყვი, რომ დედისერთობის გამო მანებივრებდნენ. დედა ძალიან მკაცრად მზრდიდა, მომთხოვნი იყო და პატარა ნიუანსებსაც კი ნაკლებად მპატიობდა. მიუხედავად ამისა, იმ ჩარჩოს მორგება, რომელიც, გინდა თუ არა, უნდა მოირგოს გათხოვილმა ქალმა, ცოტა რთულია, თანაც ადრეულ ასაკში. მაგრამ აქვე ისიც, რომ მე ნაკლებად მოვექციე ჩარჩოში, რადგან ჩემი მეუღლე და უპირველესად მისი მშობლები ძალიან მეხმარებოდნენ, გათხოვილ ქალობას "შევგუებოდი".

_ რას გულისხმობ ამაში?

_ უკვე ვთქვი, დედა 18 წლისა გავხდი-თქო. პირველი შვილი, დემეტრე, ფაქტობრივად, ჩემმა დედამთილმა გაზარდა. ქუთაისში, მუსიკალურ სასწავლებელში ვსწავლობდი და სტუდენტობაც არ მეთმობოდა თავისი სიგიჟეებით. ჰოდა, ჩემი დედამთილის დახმარებით ისე გავატარე, არც მიგრძვნია, რომ სახლში პატარა მელოდა და აუცილებლად უნდა წავსულიყავი. თუმცა, დედური ინსტიქტი თავისას შვებოდა. მეორე და მესამე შვილზე სრულიად გასიგრძეგანებული მქონდა ეს პასუხისმგებლობა და შეიძლება ითქვას, დიდი წვლილი მიმიძღვის მათ აღზრდა-გაზრდაში. ახლა ვხუმრობ, თორემ, მშობლები რომ არ გვყოლოდნენ გვერდით, მე და ჩემს მეუღლეს გაგვიჭირდებოდა სამი შვილის გაზრდა.

_ სტუდენტური სიგიჟეები ახსენე, ახალგაზრდა წყვილი ხართ, მეუღლე რამდენად "ლიბერალი" იყო ამ სიგიჟეების "გაგებაში"?

_ ჩემსა და ლევანს შორის 8 წელია სხვაობა. მე ბავშვი ვიყავი და არც მეთმობოდა ბავშვობა. ლევანი უფრო ბრძენი იყო, და კიდევ კარგი, რომ იყო. მიუხედავად ამისა, ყველაფერში მომყვებოდა, ჩემს ჭკუაზე დგებოდა. ერთი შემთხვევა იყო მხოლოდ, რომ რაღაც მეწყინა და ძალიან ლამაზად "შემირიგა" გაბუტული. სერიოზული უსიამოვნება არასდროს მოგვსვლია. არავის უკვირს კამათი ცოლქმარს შორის, მაგრამ თუ ასეთი იქნა, თავად ვაგვარებთ. ისე საკმარისია, სულ ოდნავი წყენა ჩემი დედამთილის ყურამდე მივიდეს და... ის არეგულირებს ყველაფერს. მუდამ ჩემი მხარდამჭერია. და საერთოდ, მას შემდეგ რაც იმ ოჯახში შევედი, მართლა ქალიშვილად მთვლის. მას არასდროს უთქვამს რუსო და ლიკა, ყოველთვის ლიკა და რუსო ვართ მე და ჩემი მული, რომელიც დედისერთას დედმამიშვილობას მიწევს. რუსოს ძალიან კარგი მეუღლე ჰყავს და კარგი ოჯახი აქვს. დედაჩემი კი ჩემი მეუღლის "ძმაკაცია". მათ შორის 10 წელია სხვაობა. მართლა მეგობრობენ ერთმანეთთან. დედა ძალიან აფასებს ჩემი მეუღლის ოჯახის ჩემდამი ასეთ თბილ დამოკიდებულებას. აქვე მასაც ვერ დავუკარგავ, რომ ძალიან მეხმარებოდა და მეხმარება შვილების აღზრდაში.

_ დედებს უჭირთ შვილების ადრე დაქორწინებასთან შეგუება. იმიტომაც, რომ თავად ადრე შექმნა ოჯახი, შენს შემთხვევაში როგორ იყო?

_ დედაჩემსაც გაუჭირდა, გაბრაზდა. რომ გავთხოვდი რამდენიმე კვირაში ჩემი მეუღლე მივიდა მასთან, აკოცა და უთხრა, ასეც ხდებაო. ქალბატონოთი მიმართა. დედამ იქვე შეაგება არავითარი ქალბატონო, ან "ოთაროვნა", უბრალოდ, ირმა დამიძახეო და ... მერე ყველაფერი აეწყო. გათხოვებიდან რამდენიმე დღეში დედამ დამირეკა და მითხრა, დედამთილს დედა უნდა დაუძახო, ისიც შენი დედააო. დედამთილის შემთხვევაში, მართალი გითხრათ, არ გამჭირვებია. ჩემი მშობლებიდან, მამასთან ჩემი ურთიერთობიდან გამომდინარე, მამამთილზე მამის დაძახება ცოტა გამიძნელდა, მაგრამ ჩემი მამამთილი ამას იმსახურებს. დედამთილ-მამამთილი მათემატიკოსები არიან. თანაკურსელები იყვნენ, მესამე კურსზე ოჯახი შექმნეს. ახლა საკუთარი ბიზნესით არიან დაკავებულები. ძალიან თბილი ხალხია, მოსიყვარულე ოჯახი აქვთ, ურთიერთპატივისცემაზე აგებული.

_ დედა მკაცრი იყო, თავად როგორი დედა ხარ, ახალგაზრდა დედებს არ გამოსდით შვილებთან სიმკაცრე.

_ დედაჩემიც ზუსტად ჩემს ასაკში დაქორწინდა და ჩემს ასაკში გახდა დედა, მაგრამ საკმაოდ მკაცრად მზრდიდა. ასე ვარ მეც, მომთხოვნი შვილებთან. მინდა ღირსეული ადამიანები გავზარდო, ოჯახური ტრადიციები უნდა გააგრძელონ. არაფერს ვამბობ, იმაზე, რომ კარგად უნდა ისწავლონ.

_ მამაზე რას ირტყვი?

_ მამას ახლა სოციალური ქსელით ვეხმიანები. ჩემი მამაა და ბუნებრივია, ქალიშვილის პასუხისმგებლობას მის მიმართ, ვგრძნობ.

_ როგორც ვიცი, შენი შვილები კარგი მოსწავლეები არიან და მუსიკაშიც უკვე სერიოზული მიღწევები აქვთ.

_ კი. დემეტრე წარჩინებული მოსწავლეა, სამუსიკო სკოლაშიც ბეჯითობს, არაერთ კონკურსზე ისახელა თავი, ოქროსა და ვერცხლის მედლები აქვს აღებული. სხვათა შორის, ჩემი მამამთილის მამა, ვარდენ ნიკურაძე საუკეთესოდ მღეროდა თურმე, სამტრედიაში ერთ-ერთი ანსამბლის წევრიც გახლდათ. ძალიან კარგად მღერის ჩემი მამამთილიც. ასე რომ, ჩემს შვილებში შანიძეებისა და ნიკურაძეების მუსიკალური გენებია გაერთიანებული. ანანო და ნიკოლოზი მეორე კლასში არიან, ერთი წლით დიდია ანანო, მაგრამ ერთად შევიყვანე სკოლაში. ანანო მშვიდი, წყნარი ბავშვია, მაგრამ ნიკოლოზი... აი, ახლა რომ აქ იყოს, ასე ვერ ვისხდებოდით, ცელქია ძალიან.

_ პროფესიის არჩევა შანიძეების ღირსეული მუსიკალური ტრადიციების დამსახურება იქნება, ცხადია.

_ რა თქმა უნდა, ესეც, მაგრამ, უპირველესად, ჩემი ბაბუკოს პატივისცემის და უზომო სიყვარულის "ბრალია". ოთარ შანიძის შვილიშვილობა მართლა დიდი პასუხისმგებლობაა, განსაკუთრებით სამტრედიაში, ნაკლები გეპატიება და მეტი მოგეთხოვება. ეს სიძნელეზე უფრო საამაყოა! რაც შემეხება მე, ბაბუამ გამზარდა, მამობაც მან გამიწია და ბაბუობაზე არაფერს ვამბობ. ბაბუას არასდროს ვეძახდი, ის ბაბუკო იყო ჩემთვის. ბაბუკოს გარეშე არ ვჭამდი, არ ვიძინებდი. ყველა ჩემს ჭირვეულობას ბაბუკო ასრულებდა და ამართლებდა. ბუნებრივია, სხვა შვილიშვილებიც, ჩემი დეიდაშვილები, მოგეხსენებათ ბაბუს სამი ქალიშვილი ჰყავდა, ძალიან უყვარდა. ერთად რომ შევიკრიბებოდით დიდი ოჯახი, სიხარულისგან აღარ იყო, ყველას ერთნაირად გვეფერებოდა. ბაბუს სითბო არ თავდებოდა და ახლაც არ მაკლდება, გავიხსენებ ბაბუკოს და ... ცრემლს მოჰყვება მისეული სითბოთი სავსე პირველივე კითხვა სახლში შემოსვლისთანავე _ "ლიკუსი სადაა?"

უცხო ენების სპეციალისტი მინდოდა გავმხდარიყავი. ბაბუკოს უნდოდა ძმები შანიძეების გზას გავყოლოდი. 15 წლისა ვიყავი, რომ გარდაიცვალა, ოქტომბერი იყო. სახლიდან სამუსიკო სკოლაში რომ გადავასვენეთ, მის ცხედართან დავიფიცე, რომ სურვილს შევუსრულებდი. ოქტომბრიდან დეკემბრის ბოლომდე საგამოცდო პროგრამის მომზადება ძალიან რთული იყო, მაგრამ ბაბუკოს ხათრით მოვინდომე და იანვარში უკვე მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის სამუსიკო სასწავლებლში ჩავირიცხე. თუმცა, მარტო ეს არ არის ბაბუს სურვილის შესრულება. ვცდილობ, მისი სახელის შესაფერი პედაგოგი ვიყო და ისეთი მოსწავლეები მყავდეს, ბაბუს შვილიშვილობა რომ მავალებს. ვცდილობ ჩემს მოსწავლეებს მნიშვნელოვანი წარმატებები ჰქონდეთ. მართალი გითხრათ, გამომდის!

ბებოს ვერ გამოვტოვებ... ჩემს ბებოს, ჩინებულ მოცეკვავე ციალა აბზიანიძეს. 83 წლისაა და ახლაც თითის წვერებზე დგას. დამირეკავს, დღეს რას შეჭამთ, ბებო? დიდ სიყვარულში გავიზარდე, დედაჩემის გარდა კიდევ ორი დედა მყავდა, ნანა და დუკა, ჩემი დეიდები. დუკა დეიდა მეორე დედა იყო ჩემთვის, იგი დაუმთავრებელი ტკივილია.

_ ახლა ბატონი ოთარის ნაბოლარა ირმა ხელმძღვანელობს ამ დიდი ტრადიციების მქონე სკოლას. ალბათ, გარკვეული შედავათები გაქვს დირექტორის ქალიშვილ პედაგოგს?

_ არავითარი და კიდევ არავითარი! პირიქით, ვიჩაგრები. და ეს ყველანაირი გადაჭარბების გარეშე. მოსწავლეების განაწილებისას _ ლიკა ბოლოს! ვაპროტესტებ, ხომ შეიძლება პირველი თუ არა, სადღაც შუაში ვიყო! ასევე, ბოლოს ყველა იმ საკითხში, სადაც კარგია, რამე დაგითმონ. განცხადების გარეშე ფეხს ვერ გავადგამ ვერსად, თავს ვერ გავითავისუფლებ. როცა გასვლა მინდა, ვთქვათ, ბავშვების სკოლიდან გამოსაყვანად და გაკვეთილი მაქვს ამ დროს, დედა თავად წავა და გამოიყვანს, მე არ გამათავისუფლებს. მესმის მისი, ბაბუკოც ასეთი იქნებოდა, ალბათ, რადგან ეს სკოლა უბრალოდ სამსახური არ იყო მისთვის, აქ იყო ოჯახი, აქ იყო მისი ფესვები და მისი ძმების, წინაპრების ტრადიციები. ეს სკოლა ბაბუს ღირსება იყო და მინდა, ასევე დარჩეს. დედა დირექტორი რომ გახდა, განვიცდიდი, არ მინდოდა რამე შეშლოდა. ბაბუს შემდეგ ეს ძნელი გახლდათ. ახლა ძალიან ამაყი ვარ, სკოლაში რომ იტყვიან, ირმამ კარგად გაართვა თავიო. იქ დიდი და პატივსაცემი კოლექტივია, თითქმის ყველა საუკეთესო პროფესიონალი საკუთარი საქმისა. სხვანაირად არ მოვა ის წარმატებები დღემდე რომ მოჰყვება ამ სასწავლებელს, რომელიც შანიძეების ღირსება იყო, არის და იმედია, დიდხანს იქნება!

გამოჰყვა ღიმილი

გამოჰყვა ღიმილი ფიქრების გარეშე,
თითქოსდა, ეძახდა სურვილის ტრფიალი,
და კვლავაც ითხოვდა: დაბლა არ დაეშვე,
აქ გული ობოლი არ არის ტიალი.
ის მიდის, სიხარულს წინ უსწრებს ლოდინი,
მიცურავს, ვით გედი ტბის უცხო ნაპირზე,
მე მახსოვს, სიზმარში სიამით ვკოცნიდი
და გულსაც ოცნების გზით შემოვათვისე.
და ეს გზა, ისედაც არ არის მზიანი,
რომ ვთქვათ და შევჩერდეთ სურვილის თანახმად,
რომ გადავავიწყოთ გულს ბედის ტრიალი,
დე, ვენთოთ მარადის დიდების ცათა ხმას.

ეს ლამაზი ყვავილები

ეს ლამაზი ყვავილები
მზერას ვის ანდობს?!
თითქოს შენი ახირებით
ენდო მზის ამბორს.
ახლა ცრემლის საფასურად
ამხელს დანაკლისს.
ვინ შეხედა ნეტავ მტრულად
მზისკენ გადახრილს?
ეს ლამაზი ყვავილები
და ეს ფერია,
მზეს სურვილის განდიდებით
დაუფერია.

დავით ჩირგაძე

ცოცხალი გახდა მთელი მოდგმისთვის

როცა დედოფალ ელენეს
ღვთის სიყვარული ეწვია,
გული აევსო რწმენით და
უფლის ჯვარისკენ გასწია,
დაბრკოლებებით იმგზავრა,
თუმც სიხარულმა იმატა,
უფლის იმედით იარა
და ჯვრის სამყოფელს მიადგა.
სამი ჯვარიდან ერთ-ერთმა
სიკვდილის ბჭენი შერისხა,
სასწაულების მხილველსა
ხალხს სიხარული ეღირსა.
განდიდდა ჯვარი, იხსნა სოფელი
ადამისაგან დაცემულისა,
ცოცხალი გახდა მთელი მოდგმისთვის
ქრისტეს ზეცაში ამაღლებიდან.
გვფარავს და გვიცავს ჯვარი უფლისა,
უნდა გჯეროდეთ, კვლავაც დაგვიცავს!
ჯვართამაღლებას მრავალს დაგასწროთ,
დღესაც, კვლავაც და მრავალ წელიწადს!

ლალი ლამბაშიძე

გილოცავთ, ბექა!

5 ოქტომბერს იუბილარია ახალგაზრდა პოეტი, არაერთ კონკურსში გამარჯვებული, ნიჭიერი, წარმატებული სტუდენტი, მომავალი სამართალმცოდნე ბექა ფოცხვერია.

გვეამაყება, რომ იგი ''სამტრედიის მაცნეს'' საშუალებით გაიცნო მკითხველმა, შემდეგ კი, შემდეგ წარმატებებს წარმატებები მოჰყვა...

გულწრფელად ვულოცავთ დაბადების დღეს ბექას და მის რამდენიმე ლექსს ვთავაზობთ მკითხველს.

ლევან გაბეჩავა

***

გამოზამთრებას პირი არ უჩანს
და ვიმეორებ წვიმის სახელებს,
რად მივეჩვიე თვალის დახუჭვას,
როცა ბოლომდე უნდა ვახელდე!
ნეტავი ქარი მაინც მიყუჩდეს,
ბავშვივით კანფეტს მისცემენ როცა,
და ვბერავ ფიქრებს როგორც ლაყუჩებს
როგორც თევზი და წყლისაკენ ვცოცავ.
რომ გადარჩენის ბოლო იმედი
ჰქვიოდეს შენი სიცოცხლის ნიშანს.
მე წვიმა მიყვარს ისე მცირედით,
რომ არ მაწვიმდეს, ეს იმას ნიშნავს.

წვიმის სეზონი

წვიმის სეზონო, შენ რას მიმზადებ,
შენგან რას უნდა ელოდოს კაცი,
როცა ყველა გზა გადამერაზა,
როცა სიცოცხლეს აღარა მაცლი.
შენ ამბობ, უნდა მიყვარდეს როცა,
მე ვამბობ, უნდა მიყვარდეს მხოლოდ,
მისი ხმა, ფიქრი სუნთქვა და ლოცვა
მისი საწყისი და მისი ბოლო.

***

შენ ზიხარ ახლა ოთახში მარტო,
როგორც გულმოსულ ქალებს სჩვევიათ.
ვინ იცის, იქნებ იმ დღეებს ნატრობ,
რომ წავიდა და დაბრუნდებიან.
მე ჩემი გულის დანახვა მინდა,
სადაც შენ ხარ და სხვები მიდიან.
მათ იქორწინეს და იმ დღეს წვიმდა,
დრო მოვა ჩვენზეც ასე იტყვიან.

კოკა-კოლას გავლენა ჯანმრთელობაზე

კოკა-კოლა ყველასათვის ცნობილი და ბევრისთვის საყვარელი არაალკოჰოლურ გამაგრილებელ სასმელს წარმოადგენს, ის შეიქმნა 1886 წელს მის შემადგენლობაში შედის: გაზიანი წყალი (კარბონირებული წყალი), შაქარი (სუკროზა ან ფრუქტოზის სიროფი), კოფეინი, ფოსფორის მჟავა, კარამელის საღებავი, ბუნებრივი არომატიზატორები.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბუნებრივი არომატიზატორების ფორმულა საზოგადოებისთვის ცნობილი არ არის და წარმოადგენს სავაჭრო საიდუმლოებას.

არსებობს ცნობილი მითები, რომ ეს ფორმულა იცის მხოლოდ აღმასრულებელმა მენეჯერმა ან რამდენიმე ადამიანმა, რომლებმაც მხოლოდ ფორმულის ნაწილი იციან და ა. შ.

თავიდან კოკა-კოლა იწარმოებდა სტიმულანტებით _ კოფეინით და კოკაინით, სწორედ ამიტომ დაერქვა კოკა-კოლა. 1903 წელს კოკაინი კოკა-კოლას შემადგენლობიდან ამოღებული იქნა. კოკა-კოლას გავლენა ჯანმრთელობაზე: მის ხანგრძლივ მოხმარებას ასაკოვან ქალებში ახლავს ოსტეოპოროზის რისკის გაზრდა. სავარაუდოდ, ფოსფორის მჟავის შემცველობის გამო. ზოგიერთი მთავრობა მაგალითად, ინდოეთს მიიჩნევს, რომ მრავალი გაზიანი სასმელი დაბინძურებულია ტოქსინებით, მათ შორის კოკა-კოლაც, ის შეიცავს პესტიციდებს და სხვა ტოქსინებს. ეს საკითხი, რა თქმა უნდაა საკამათოა.

ზოგიერთი კვლევის მიხედვით კოკა-კოლას გააჩნია სპერმიციდული მოქმედება და ის უარყოფითად მოქმედებს მამაკაცის ჯანმთელობაზე.

აღიზიანებს კუჭს (გაზიანი წყალი), აძლიერებს კუჭის მჟავიანობას.

ერთი ჭიქა კოკა-კოლას მიღებისას ადამიანი საკმაოდ დიდი ოდენობით შაქარს იღებს, თითქმის ერთი კოვზის ოდენობით. თუმცა შაქრის დიდი ოდენობით მიღების ეფექტი არ ვლინდება გულისრევით, ვინაიდან, მის მოქმედებას თრგუნავს ფოსფორის მჟავა, რომელიც მის შემადგენლობაშია.

კოკა-კოლას მიღებიდან ოცი წუთის შემდეგ სისხლში ინსულინის დონე მკვეთრად მატულობს. ღვიძლი კი მიღებული შაქრების ცხიმებად გარდაქმნას იწვევს.

40 წუთის შემდეგ კოფეინის მოქმედება უკვე გამოხატულად იწყებს მოქმედებას. მატულობს სისხლის წნევა, ხდება ადამიანის სტიმულირება, იმატებს დოფამინის დონე, რომელიც ასტიმულირებს თავის tვინში სიამოვნების ცენტრს (დაახლოებით იგივე რეაქციაა ჰეროინის მიღებისას, ოღონდ გაცილებით ძლიერი).

დაახლოებით ერთ საათში ფოსფორის მჟავა იწყებს კალციუმის და სხვა მინერალების შებოჭვას და მათ გამოდევნას ორგანიზმიდან.

ჯამში რომ ვთქვათ, არის რისკები, რომელიც კოკა-კოლას მიღებას თან ახლავს, თუმცა კვლევებით რამე განსაკუთრებული დადასტურებული ეფექტი მის მავნებლობაზე არ არსებობს, თუ არ ჩავთვლით ზემოთ აღნიშნულ გრძელვადიან მცირე ეფექტებს.

მსოფლიოში ყველაზე ძვირიანი წამალი 1 მილიონი დოლარი ღირს

მსოფლიოში ყველაზე ძვირიანი წამალია ''გლიბერა'', რომელიც ერთი მილიონი დოლარი ღირს. ის ისტორიის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ იქნა გამოყენებული და რაც მთავარია, წარმატებით ''გლიბერა'' მიეკუთვნება გენური თერაპიის წამალს. მისი გამოყენება მოხდა იმ ადამიანში, ვისაც დარღვეული ჰქონდა გენეტიკური ფუნქცია, 43 წლის ქალს არ შეეძლო ლიპოპროტეინ ლიპაზას გამომუშავება, ანუ ჰქონდა გენეტიკური დარღვევით გამოწვეული ფერმენტული დეფიციტი. მისი ჰოსპიტალიზება სხვადასხვა სიმპტომებით მოხდა 40-ჯერ და საბოლოოდ მიიღეს გადაწყვეტილება, გამოეყენებინათ ''გლიბერა''. მისი გამოყენება გამოდგა ეფექტური.

''გლიბერა'' შეიცავს ლიპოპროტეინ ლიპაზას გენის შეწორებულ კოპიებს. მისი მიღწევა და შექმნა ძალიან დიდ გამოწვევებს, ხარჯებს და ძალისხმევას უკავშირდება, თუმცა მეცნიერები ამაზე შეჩერებას არ აპირებენ. მუშაობენ გენური თერაპიული წამლების უკეთეს ფორმებზე, რომელიც განკურნავს უფრო გავრცელებულ და მძიმე დაავადებებს, როგორიცაა ჰემოფილია. რა თქმა უნდა, დროსთან ერთად ასეთი წამლების ფასი დაეცემა, თუმცა ამ ეტაპზე მათი არსებობა არათუ რიგითი ადამიანებისათვის ხელმისაწვდომი არ არის, არამედ ხშირად ექიმებმა მათ შესახებ არც კი იციან.

2017 წელს კი ფილადელფიური კომპანია ''სპარკს თერაპეუტიკს'' სიახლე ელოდება ეფრუვს წამლის სააგენტოსგან, რის შედეგადაც ბაზარზე შემოვა წამალი, რომელიც სიბრმავის ერთ-ერთ ფორმას განკურნავს. ანუ სამედიცინო და ფარმაცევტულ სამყაროში დროსთან ერთად ბევრი მნიშვნელოვანი სიახლე გველოდება რომელიც წლებთან ერთად საქართველოშიც მოაღწევს და მათ გამოყენებას ჩვენც შევძლებთ.



ისთვის სჭირდებოდა მანქანაში ხეზინის ჩექმები და სანადირო თოფი ხაიონის თავჯაცს?

ლევან გაბეჩავა

ოდითოვანვე მიტაცებდა ასაკით უფროს ადამიანებთან მეგობრობა, მათი დინჯი, დაბრძენებული საუბრის მოსმენა.

ბედმა გამიღიმა და დიდი ჯიხაიშის ყაზბეგის სახელობის სკოლაში იმ წლებში მომიწია პედაგოგად მუშაობა, როცა სკოლაში 1905-1915 წლებში და შემდეგ დაბადებული, უკვე ასაკოვანი პედაგოგები მოღვაწეობდნენ.

ვნანობ, ბევრი საინტერესო რომ ვერ (არ) ჩავიწერე თავის დროზე.

ღვაწლმოსილი ადამიანები "სამტრედიის მაცნეს" რედაქციაშიაც დამხვდნენ, ათას საინტერესოს რომ მოიგონებდნენ, გაიხსენებდნენ ვანგლილი ცხოვრებიდან.

იმ ადამიანის გვარ-სახელი ვისზეც ამჯერად ვწერთ, პირველად სწორედ დიდ ჯიხაიშში, ყაზბეგის სკოლაში გავიგონე, როცა სკოლის მოსწავლეებს ადგილობრივ მეურნეობას ვახმარდით სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესასრულებლად. (ასეთი ტრადიცია იყო მაშინ_ლ.გ.).

_ ეეჰ, ნოდარ კოხრეიძე ერთს გაივლიდა ფართობში და უმალ იტყოდა, რამდენი მოსავალი მოვიდოდა ფართობზე. ნოდარ კოხრეიძე დილით ალიონზე რომ შემოივლიდა სოფლებს, მეჩაიეებს სახელებით მოგვმართავდა და ისე გვესალმებოდა... ხშირად იტყოდნენ მეურნეობებში დასაქმებული მეჩაიეები, მესიმინდეები, მწველავები...

მერე რედაქცია...

ნოდარ "ლუკიჩს" მანქანაში თან ედო სანადირო თოფი და რეზინის ჩექმებიო. _ დაწერა ერთხელ გაზეთში ბატონმა სულიკო ნინუამ.

გავვოცდი, რად უნდოდა ბატონო სულიკო რაიონის თავკაცს მანქანაში ეს ნივთები-თქო, ვკითხე. მიპასუხა: შვილო, გათენებამდე, ვიდრე დილის თათბირი დაიწყებოდა, მდივანი თანმხლებ პირებთან ერთად შემოივლიდა ხოლმე სიმინდის ყანებს, ჩაის პლანტაციებს, ფერმებში წველის პროცესს დაესწრებოდა და მერე ისმენდა ინფორმაციებს.

ერთხელ, ჰყვება ბატონი სულიკო ნინუა, ერთ-ერთი მეურნეობის დირექტორმა თათბირს მოახსენა, ამ და ამ ფართობში ჩაის კრეფა დამთავრებულიაო. თვალები დააბრიალა თურმე მდივანმა, რას ჰკადრულობთ, ამ დილით ვიყავი მაგ ფართობში და ჯერ არავინ შესულაო, _ უთქვამს. რა დღეში აღმოჩნდებოდა მეურნეობის თავკაცი და რატომ მოვიყვანეთ მსგავსი მაგალითები ბატონი ნოდარის პიროვნების დასახასიათებლად გონიერი მკითხველი უპრობლემოდ მიხვდება.

კომკავშირის აჭარის საოლქო კომიტეტში მუშაობისას ნოდარ კოხრეიძე იმ სამტრედიელების ყოფა-ცხოვრებითაც ინტერესდებოდა თურმე, საგზურებით აჭარის მაღალმთიან სოფლებში რომ იყვნენ განაწილებულნი პედაგოგებად. ჩვენი კოლეგის, კორნელი ჩიხლაძისა და აწ უკვე იმიერში გადასული პედაგოგისა და პოეტისაგან, შოთა მინაშვილისაგან მსმენია ეს.

საუბრის ცალკე თემაა ბატონი ნოდარის ძალისხმევა რაიონში სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობისა და ქალაქის ინფრასტრუქტურული განვითარების საქმეში.

ბუნებრივია, ოპონენტებიც გამოუჩნდებიან წერილის ავტორს, ისეთები რომლებიც შემედავებიან...

არ არსებულა, ვერც იარსებებს ფორმაცია, ხელმძღვანელი ყველას მოსაწონი რომ იყოს, მაგრამ რა ვუყოთ ამ და სხვა მრავალ, მრავალ დაუვიწყარ ფაქტს, წერილში რომ მოვიხმეთ და უფრო ბევრი მის, ე. ი. ბატონი ნოდარის თანამედროვეებს რომ ახსოვთ?

ვერ (არ) "ვისარგებლებ" იმით, რომ ბატონი ნოდარი ცოცხალი არაა და ვერ ვიტყვი, რომ მე მისი კარგი ნაცნობი ვიყავი, არა, საქმიანი ურთიერთობები ჩვენს შორის მაშინ დამყარდა, როცა იგი, აგრარული აკადემიის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, სოფელ დიდ ჯიხაიშში ჩამოდიოდა, იმ სოფელში, სადაც მეც ვმუშაობდი, და მაშინ, როცა ის აგროსამრეწველო გაერთიანების უფროსის პირველი მოადგილე იყო.



მომდევნო წლებში ბატონი ნოდარი სამტრედიელებმა თავიანთ წარმომადგენლად აირჩიეს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში.

...

არავინ და არაფერი შერჩენია წუთისოფელს სამარადჟამოდ.

დიდი ხანია, ბატონი ნოდარი აღარაა ჩვენს შორის, თუმცა, მისი თანამედროვენი დღესაც თბილად იხსენებენ უნარიან, გამოცდილ სამეურნეო და ხელმძღვანელ მუშაკს, რაიონის ღირსეულ თავკაცს, ინტელიგენციის, მკლავმოუღლელ მუშათა დამფასებელ კაცურ კაცს, რომელსაც წელს 85 წელი შეუსრულდებოდა.

ნათელში იყოს!

პარტიის რაიკომის პირველი მდივანი ნოდარ კოხრეიძე (მარცხნივ) ჯიხაიშის გაღებულის მოზიანავე საწარმოს ხელმძღვანელს.

"ყველაფერი მიდის, რჩება სიყვარული..."

ხანდაზმულობის მიუხედავად, საოცრად მოულოდნელი იყო ჩემთვის იმის გაგება, რომ 89 წლის ასაკში გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი, ქალბატონი მარო ნადირაძე, 1974-1993 წლებში ღანირის საშუალო სკოლის დირექტორი, ღვაწლმოსილი პედაგოგი.

გულისტკივილით ვიხსენებ, ჯერ კიდევ ახალგაზრდა პედაგოგს 1962 წლის მარტში საჯავახოს საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგედ მუშაობისას გავეცანი. მაშინ როცა, ამ სკოლის უფროს პიონერხელმძღვანელად დამამტკიცეს (დირექტორი ლონგინოზ გეგეშიძე ბიულეტენზე იყო). სამუშაოზე მან მიმიღო და გზა დამილოცა პედაგოგიურ სარბიელზე. ქალბატონი მარო იყო იმის ნათელი მაგალითი, როგორ უნდა გიყვარდეს სკოლა, მოსწავლეები, როგორ უნდა სცემდე პატივს იმ გარემოს, სადაც მოღვაწეობ. ის იყო ჰუმანური, მომთხოვნი და მიმტევებელი. მუდმივად აკონტროლებდა სასწავლო პროცესს, თითოეული პედაგოგისაგან მოითხოვდა მაქსიმალურ გარჯას. შედეგიც შესაბამისი იყო. საჯავახოს საშუალო სკოლა 60-იან წლებში ცნობილი იყო წარმატებებით: სასკოლო დისციპლინით, აკადემიური მოსწრებით, მაღალესთეტიკური დონით, მოსწავლეთა შემოქმედებით კონფერენციებზე მიღწეული შედეგებით. ის, როგორც ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, გამოირჩეოდა თავისი საგნის სიღრმისეული ცოდნით და ახლის ძიებით. მან სკოლაში დაამკვიდრა ქართული ენის სიწმინდის დაფა, სადაც ქვეყნდებოდა შეცდომით წარმოთქმული სიტყვები, მათი ავტორები, იქვე იყო შესწორებები. მოსწავლეები ძალიან განიცდიდნენ შეცდომების საჯაროდ გამოტანას და ცდილობდნენ, აემაღლებინათ მეტყველების კულტურა. მიზანიც ეს იყო. მახსოვს, როგორი მხარდაჭერა მოჰყვა ამ ინოვაციას.

ქალბატონმა მარო ნადირაძემ ღანირის საშუალო სკოლის დირექტორად მუშაობის წლებში გამოცდილ და ღირსეულ პედაგოგიურ კოლექტივთან ერთად ბევრი სასიკეთო საქმე გააკეთა. ამ მხრივ აღსანიშნავია მისი და ქალბატონი ცისანა მებუკის კოორდინირებული საქმიანობა. სწორედ მაშინ მიენიჭა სკოლას მეორე მსოფლიო ომის გმირის აკაკი ტერელაძის სახელი. მოეწყო დიდი ზეიმი აკაკის მეუღლის და მისი ქალიშვილის, ცნობილი მხატვრის, ცინარა ტერელაძის, ასევე, რაიონის საზოგადოებრიობის მონაწილეობით.

დღეს აღარავის უკვირს კომპიუტერული ტექნიკა. ქალბატონმა მარომ 70-იან წლებში მოახერხა სათანადო კომუნიკაცია ამ სოფლის სახელოვან შვილთან, მსოფლიოში აღიარებულ მეცნიერთან, საქართველოს გეოფიზიკის ინსტიტუტის დირექტორთან ბატონ ბენედიქტე ბალავაძესთან, რომელმაც სკოლას საჩუქრად მოუწყო კომპიუტერული კაბინეტი, რაც უპრეცედენტო ფაქტი გახლდათ.

ღანირის სკოლის დირექცია და პედაგოგიური კოლექტივი ყოველთვის პატივს მიაგებდა სახელოვან თანამემამულეებს. ამის მაგალითია შეხვედრები ორგზის მსოფლიო ჩემპიონთან, ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორთან ვახტანგ ბალავაძესთან და აკადემიკოს ბენედიქტე ბალავაძესთან. დაუვიწყარი და შთამბეჭდავი იყო ქართული სცენის სიამაყის, ეროსი მანჯგალაძის სტუმრობა რუსთაველის თეატრის დასთან ერთად, ღანირის დაწყებითი სკოლის 100 წლის იუბილის აღნიშვნა და ამ ზეიმის დაგვირგვინება ღანირის საშუალო სკოლის კედლებში. ქალბატონი მარო ამაყობდა თავისი სკოლით, აღზრდილებით და ჰქონდა კიდეც საამაყო. ის ეულად შეეწირა თავის პროფესიულ საქმეს. არცთუ ძნელია იმის წარმოდგენა, რომ მარო მასწავლებელმა ცხოვრების ძირითადი წლები სოფელ გომში საკუთარ ოჯახს თვეობით მოწყვეტილმა საჯავახოსა და ღანირში გაატარა. იმდენად უყვარდა თავისი საქმე, რომელსაც გულწრფელად და თავდადებით ემსახურებოდა, არასოდეს გამიგია მისგან ამაზე საყვედური, თავად უშვილო, გაეცალა ამა სოფელს "როგორც მრავალი შვილის მშობელი".

დღეს თავს ვაძლევ უფლებას, ხმამაღლა განვაცხადო ქალბატონი მაროს ქალურ ღირსებებზე, გარეგნობაზე, რომელიც ყოველთვის გამოარჩევდა. მახსოვს, როგორ გაიხსენა სტუდენტური წლები და დაუვიწყარი წამი, რომელიც მას ცნობილმა სახალხო პოეტმა იოსებ ნონეშვილმა აჩუქა. როცა პოეტი ერთ-ერთ გაჩერებაზე ავტობუსში ამოსულა და თვალი მოუკრავს ცისფერთვალება, ცისფერ კაბაში ჩაცმული წარმტაცი გოგონასათვის, თავი ვერ შეუკავებია და მისთვის ჩვეული პათოსით წაუკითხავს საკუთარი ლექსის რამდენიმე სტროფი. მარო სიამაყით იხსენებდა: "ფეხზე წამოვდექი, ვგრძნობდი, მგზავრები სახეგაბრწყინებულნი უსმენდნენ პოეტს და სიყვარულით შემომცქეროდნენ. გავწითლდი, მადლობა ძლივს წარმოვთქვი და მოულოდნელობისაგან შეცბუნებული შემდეგ გაჩერებაზე ჩამოვედი. როგორც იტყვიან, მიწას ფეხი დავადგი და რამდენიმე წუთი გაოგნებული ვიყავი". გაიარეს წლებმა, ქალბატონმა მარომ ყოველგვარ გამოწვევას დუმილით უპასუხა. მიილია წუთისოფელი უმცროსი დის და დისშვილების, უახლოესი მეგობრების და მომავალი თაობის სიყვარულში, ტკივილში, ყოველდღიურ სიძნელეთა დაძლევაში.

საჯავახოს საშუალო სკოლის წარჩინებული კურსდამთავრებულის, ფილოსოფოსის, გულიკო გაგუას წიგნიდან "შეჩერებული წამი" პერიფრაზირება მინდა გავაკეთო, რომელიც ზუსტად მიესადაგება მას: "არიან ადამიანები, რომლებიც იმისთვის იბადებიან ამქვეყნად, რომ გვასწავლონ მოყვასის სიყვარული, სიკეთე და კეთილშობილება".

... "ცხოვრება სხვა არაფერია, თუ არა ტკივილი და სიყვარული, ტკივილიანი სიყვარული" და არდავიწყება ამაგდარი ქალბატონის, მარიამ ნადირაძის პედაგოგიური ღვაწლისა და ადამიანური ღირსებებისა.

ნაზიკო გელეიშვილი

შვილები ნატო და დათო გოგიშვილები, სიძე ელგუჯა კაჭარავა, რძალი ეკა უგლავა, შვილიშვილები, ანა, ქეთი და ელენე გოგიშვილები, ნათია და ხატია კაჭარავები, შვილთაშვილები ანასტასია, ნიკოლოზი, ირინა, ნიკა და ანიტო ღრმა მწუხარებით იუწყებიან

მაღლენა (მაღო) ჭვანია-გოგიშვილის

გარდაცვალებას.

ნინო ნანიტაშვილი და ბადრი ვაშაკიძე ოჯახით დიდ გულისტკივილს გამოხატავენ ქალბატონი

მაღლენა ჭვანია-გოგიშვილის

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებენ ნატო და დათო გოგიშვილების ოჯახებს.

ვაჟა ტერელაძის ოჯახი თანაუგრძნობს ქალბატონ ნატალია გოგიშვილს დედის, ქალბატონი

მაღლენა ჭვანია-გოგიშვილის

გარდაცვალების გამო.

ვალერი სანაძე ოჯახით თანაუგრძნობს ნატო გოგიშვილისა და ელგუჯა კაჭარავას და დათო გოგიშვილის ოჯახებს ქალბატონი

მაღლენა ჭვანია-გოგიშვილის

გარდაცვალების გამო.

გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს ქალბატონ ნატალია მანჯგალაძეს ძმის

ირაკლი მანჯგალაძის

გარდაცვალების გამო.

ვაჟა ტერელაძის ოჯახი თანაუგრძნობს ქალბატონ ნატალია მანჯგალაძეს ძმის

ირაკლი მანჯგალაძის

გარდაცვალების გამო.

მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკა თანაუგრძნობს ნატალია მანჯგალაძეს

ძმის

გარდაცვალების გამო.

გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია იუწყება, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი პიროვნება ბატონი

დავით დავითის ძე ნიკოლაიშვილი

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ვაჟა ტერელაძის ოჯახი იუწყება, რომ გარდაიცვალა ბატონი

დავით ნიკოლაიშვილი

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

შეჯიბრი ნარდში

საინტერესოდ, დაძაბულად წარიმართა შეჯიბრი ნარდში ახალგაზრდებსა და ხანდაზმულებს შორის, რომელიც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებულ ბრძოლებში დაღუპულების, ტარიელ კოპალეიშვილის, სევერიანე თევზაძისა და მარლენ ბარამიას ნათელ ხსოვნას მიეძღვნა.

შეჯიბრის მთავარი მსაჯი გახლდათ თადარიგის პოლკოვნიკი როლანდ ღირდალაძე.

ფინალში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ თადარიგის ვიცე-პოლკოვნიკი ავთანდილ კაშია და სამტრედიელთათვის კარგად ცნობილი პიროვნება, ფეხსაცმლის ხელოსანი ზურაბ ფხაკაძე.

ფინალური შეხვედრა ზურაბ ფხაკაძის გამარჯვებით დამთავრდა, რომელსაც გადაეცა ხანდაზმულ მონაწილეთათვის დაწესებული პრიზი.

შეჯიბრის ორგანიზატორი გახლდათ შინაგან საქმეთა სამინისტროს სამტრედიის ვეტერანთა ორგანიზაციის თავმჯდომარე, თადარიგის ვიცე-პოლკოვნიკი ავთანდილ კაშია.

ლევან გაბეჩავა



ნაღდი კაცი რომ ხარ, თენგო,
გაფასებენ "მაგიზა".
დარდი რომ არ შეგეპაროს,
დალევ, აბა, რას იზამ!

დაფი და ზურნა ვახტანგ ბალავაძის პატივსაცემად

ამ ტურნირის ჩასატარებლად მუნიციპალიტეტის საკრებულომ თანხის გამოყოფის თაობაზე გადაწყვეტილება ჯერ კიდევ ორი თვის წინ მიიღო. იგი ცნობილი ქართველი მოჭიდავის, ღანირის მკვიდრის, ვახტანგ ბალავაძის სახელობისა გახლდათ და მის საიუბილეო თარიღს მიეძღვნა. ჩატარების ინიციატორი საკრებულოს წევრი, მსოფლიო ჩემპიონი ვეტერანებს შორის ბადრი შენგელია და საჭიდაო კლუბი "ფალავანი" გახლდათ. შეჯიბრი, ბუნებრივია, ღანირში ჩატარდა. მუნიციპალიტეტის გამგეობისა და საკრებულოს წარმომადგენლები ადგილობრივებთან ერთად აზარტში შესულები გულშემატკივრობდნენ საჭიდაო კლუბ "ფალავანის" შეჯიბრში მონაწილე 15-ვე ფალავანს. ტრადიციული დაფისა და ზურნის ხმა კიდევ უფრო მეტ ემოციას ჰმატებდა მაყურებლების აზარტს. "საჭიდაოც" გააჩაღეს და რამდენიმე შერკინება გამარჯვება-დამარცხებით დასრულდა. მთავარი მსაჯი ავთანდილ თარგამაძე, შუამავალი მსაჯი არენაზე კი ბადრი შენგელია გახლდათ. გადამწყვეტი ბრძოლა გიორგი კაცაძესა და გოჩა ზაქრაძეს შორის გაიმართა, რომელშიც გიორგი კაცაძემ ბეჭებზე დადო მოწინააღმდეგე და ტურნირის გამარჯვებულის ტიტული მოიპოვა.

გარდა იმისა, რომ საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ ჯამბურია და გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი დავით ბახტაძე მიესალმნენ, გამარჯვებულები და მათი მწვრთნელები ფულადი საჩუქრებით დააჯილდოვეს. ადგილობრივი გამგეობისა და საკრებულოს მხარდაჭერით ჩატარებული ეს ტურნირი მომავალშიც გაიმართება.

თეა ბაბუნაშვილი

ვულოცავთ!

ბატონ ოთარ ჩრდილელს!

გილოცავთ დაბადების დღეს, წარმატებებს გისურვებთ პირად ცხოვრებასა და საზოგადოებრივ ასპარეზზე.

იხარეთ, იდღეგრძელეთ!

"სამტრედიის მაცნე"

ირაკლი სულავას!

დაბადების დღეს გილოცავთ, იხარეთ, იდღეგრძელეთ, წარმატებებს გისურვებთ!

"სამტრედიის მაცნე"

მარი წიქვაძეს!

დაბადების დღეს გილოცავთ, ჩვენო საყვარელო მარი. წარმატებებს გისურვებთ სწავლაში. უფალმა დაგლოცოს და გაგაძლიეროს.

გულიკო, ირა ბებიები ოჯახებით

ანანო მიქაძეს!

ანანო, გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ბევრ სიხარულს, დიდ სიყვარულს, წარმატებებს... სიმშვიდეს, სიბრძნეს, გონიერებას. სასწაულია, რომელსაც ახლავს დალოცვა ღმერთის, მინდა, ეს ლოცვა არ მოგკლებოდეს და მზემაც მუდამ ანათოს შენთვის!

"რამდენი ფოთოლიც დასცვივა, ბებერ ჭადრის ხეს,
რამდენი იაც ამოვა გაზაფხულის დღეს,
რამდენი ფიფქიც დაადნება კავკასიონის მთებს,
დაესწარი იმდენ დაბადების დღეს."

ბებია და ბაბუა

ღვაწლმოსილ ქალბატონს, ერთგულ მეგობარს და კოლეგას, თბილ მეუღლეს, მზრუნველ დედასა და ბებიას, ქალბატონ **იზო ხუჭუას** დიდი სიყვარულით ვულოცავთ სახელოვან იუბილეს.

უფალმა კიდევ უამრავი ბედნიერი წელი შეგმატოთ. ლამაზი ფერები ყოფილიყოს მუდამ თქვენი მეგზური.

"სულის სიმშვიდე გქონოდეთ
და სახე ღიმილიანი,
წარმატებები ულევი,
ღვთის მადლი ბარაქიანი."

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება

იდღეგრძელეთ!

გაზეთს იმ დროიდან მოჰყვება, რედაქციაში უკვე დიდი ხანია იმერში გადასული ჩვენი უფროსი კოლეგები რომ მუშაობდნენ. ამიტომაც იტყოდა ხოლმე ბატონ იორამზე საოცარი სიყვარულითა და მისეული იუმორით ბატონი სოსო ხაჟალია _ იორამი ძველია ახლებშიო.

ახლადშეღერებული ჭაბუკი ყოფილა პირველი პუბლიკაცია რომ გამოუქვეყნებია "წინსვლაში", მერე "სამტრედიის მაცნეც" სიამოვნებით უთმობს იორამის ინფორმაციებს თავის ფურცლებს.

ძირითადად სპორტულ თემატიკაზე წერს, თუმცა, მარტო სპორტითაც არ იფარგლება.

აბაშა, ვანი, სენაკი, ხონი, ცენტრალური სპორტული გაზეთი "ლელო" _ აი, პერიოდული გამოცემები, რომლებთანაც ბატონი იორამი წლებია თანამშრომლობს.

65 წელი ჩამოიმარცვლა ჩვენი მეგობრის ცხოვრების კრიალოსანზე, ღირსეულად, შეურცხვენლად განვლილი 65 წელი.

პატივისცემით ვულოცავთ ჩვენს უფროს მეგობარს იუბილეს.

დღეგრძელობასა და წარმატებებს ვუსურვებთ!

ლევან გაბეჩავა

რედაქციის მისამართი:
სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6
ტელ: 790 391839
სამტრედიის მაცნე
მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭელიძე
გამომშვები რედაქტორი თეა ბაბუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი ლევან გაბეჩავა
კომპიუტერული უზრუნველყოფა მაკა პაპავა